ლელო

№ 34
(11081)

3 – 6 მაისი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ინგლისი – საქართველო 2-0. ბურთისათვის ბრძოლაში მარცხნიდან – ირაკლი ზოიძე, ტონი ადამსი, ალან შირერი, მურთაზ შელია

რეიტერის ფოტო

ჯერ შორს ვართ რეალურ ოცნებამდეც კი...

„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი ბულგარეთში ვალერი ოძაძე – ლონდონიდან:

ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

ინგლისი – საქართველო 2-0.

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, კემპბელი, ადამსი (საუთგეითი), ლე სო, ინსი (რედნაპი), ბეტი, ბექჰემი, შერინგემი, შირერი, ლი.

საქართველო: ზოიძე, შეყილაძე, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, მაჭავარიანი (გოგრიჭიანი, ა. არველაძე), ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე (გახოკიძე), შ. არველაძე.

გოლები: შერინგემი (42), შირერი (90)

გააფრთხილეს: ლე სო, ნემსაძე, ქინქლაძე, ლი, გოგრიჭიანი, შელია.

მსაჯი: რ. პარელი (საფრანგეთი)

საფეხბურთო ქვეყნებში უყვართ ზღვარგადასული საუბრები (აღარაფერს ვამბობთ აფიშირება-რეკლამაზე) ამა თუ იმ კონკრეტული საფეხბურთო მატჩის წინ, განსაკუთრებით მაშინ და აღმატებულად, როცა ასეთ შეხვედრას რაღაც დამაინტრიგებელი მიზეზებიც ახლავს. ინგლის-საქართველოს ეროვნული ნაკრების შეხვედრა ამ თვალსაზრისით სწორედ რომ მრავალწახნაგოვანი მსუყე ლუკმა იყო. არ არის იშვიათი გამონაკლისი, როცა ძლიერი გუნდის მესვეურები მათზე დაბალი კლასის გუნდს სერიოზულ მეტოქედ წარმოაჩენენ ხოლმე თავიანთი გულშემატკივრების თვალში და ამით სურთ, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოინადირონ. პირველი – ვაითუ... ვინ იცის, რა ხდება, ბურთი მრგვალია, თავი დაზღვეული გექნება და მეორე – წარმატების შემთხვევაში ყველას ეცოდინება, რომ მოწინააღმდეგე იოლად დასამარცხებელი გუნდი არ იყო. ამით კი არათუ რამე დააკლდება, პირიქით, ამაღლდება გამარჯვებულის ავტორიტეტი.

ასეთი აჟიოტაჟი უძღოდა ჩვენების განმეორებით მატჩს ლონდონში. ეფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარმა ხმაურიანმა მოლოდინმა ლამის პირთამდე აავსო უემბლი. თუნდაც მატჩისწინა ცერემონიალი გაიხსენეთ, ეს ხომ ნამდვილი დღესასწაული იყო.

აღტყინებული გულშემატკივრები თამაშის პირველი 10-15 წუთის განმავლობაში მართლა მოიცვა თანაბარი ძალის მეტოქეთა პაექრობის ილუზიამ, მაგრამ ჩვენების ტემპერამენტი, შემოქმედებითი, ასე თუ ისე, აზრდატანებული თამაში რომ ეთქმოდა, ამის იქით აღარ წასულა. რა მოხდა? ეფიქრობთ, მასპინძელთა „მთავარსარდალმა" და მოედანზე „ჯარისკაცებმა" ამ დროის მანძილზე სრულად ამოიცნეს ქართველების ტაქტიკა თუ თამაშის მანერა, ყველა რგოლს თავისი გასაღები გამოუნახეს და მთელი მატჩი ისე წარმართეს საფრთხეში არ ჩაუგდიათ თავი. და თუ მაინც ჩვენების გამოუყენებელ მომენტებს ჩავაგდებთ სათვალავში (რაზედაც პრესკონფერენციაზე ჰოდლიმაც გაამახვილა ყურადღება), მაშინ მასპინძლებისაც გავიხსენოთ და ილუზია აღარ გაგვიტაცებს. ერთი სიტყვით, მატჩის დასაწყისში მოედანზე 22 ფეხბურთელი აშკარად ჩანდა, მერე 11 შემართული მასპინძლისა და მინდორზე მეტწილად უაზროდ მობორიალე 10 სტუმრის (ქეცბაიას გარდა) კონტრასტმა მიიპყრო ყურადღება.

... გვახსენდება 1994 წლის 12 ოქტომბერი. მაშინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვასილი ლევსკის სტადიონზე ქართველები ბულგარელებს ეპაექრებოდნენ. ბუნებრივია, ახლანდელ შეხვედრას ლონდონში, სოფიაში გამართული მატჩის პრიზმით შეეყურებდით და ვადარებდით იმდროინდელ ჩიყაძისეული ნაკრების ხელწერას. მართალია, მაშინაც 0-2 წავაგეთ, მაგრამ ის ნაკრები უფრო შთამბეჭდავად და მიზანსწრაფულად, ალმაფრენით, რაღაცნაირი ჟინითაც კი თამაშობდა, გამოკვეთილი იყო სტრატეგიაც და ტაქტიკაც. ახლა კი ისევ ლონდონს დავუბრუნდეთ. გუნდი, რომელიც მოედანზე მოსაგებად გამოდის, არ ვიცით, რამდენად გამართლებულია, გამოიყვანოს 6 მცველი (ფაქტობრივად, ნემსაძეც მცველად მოგვეჩვენა). ამასთან, ქინქლაძე – ქეცბაიას ტანდემმაც ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია და ამაში სულაც არ იყო დამნაშავე ეს უკანასკნელი. უემბლიზე ინგლისელთა მიერ გატანილი გოლების აღწერას არ შევუდგებით. ერთს კი ვიტყვით, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები თამაშის წესებს ალბათ უფრო უკეთ უნდა იცნობდნენ. მართალია, მატჩი მაინც წაგებული იყო, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა რა ანგარიშით მარცხდები. ეს ფაქტი უფრო იმიტომაც მოვიტანეთ, რომ ასეთი საჩუქარი ენახოთ და ერთხელაც გადამწყვეტ მომენტში ჩაიგდოს ხელში მეტოქემ...

საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის ეს შესარჩევი ციკლი, ფაქტობრივად, გნებავთ პრაქტიკულად, საბოლოოდ უკვე ჩამთავრდა. ახლა იმედად მხოლოდ მომავალი რჩება.

ვინ საიდან, ვინ საით...

სოჭიდან დაბრუნდა საქართველოს პარლამენტის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც რუსეთის ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ჩვენებს IV ადგილი ხვდათ, პირველი იყო რუსეთის ფედერაცია, მეორე – სანკტ-პეტერბურგი, მესამე – სოჭის ვეტერანთა ლიგის ნაკრები.

ჩვენების შემადგენლობა: მანუჩარ მაჩაიძე, დათო ლორთქიფანიძე, ზაზა კახაძე (ყოფილი ფეხბურთელი და „ლელოს" თანამშრომელი), კარლო მჭედლიძე, თენგიზ ებანოიძე, გია შაქარაშვილი, გია გვაზავა, გიორგი კობახიძე, ცაცა შელია.

ბელგიაში ევროპის პირადგუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი (65), გიორგი ვაზაგაშვილი (71), სოსო ლიპარტელიანი (78), გიორგი წმინდაშვილი (86), ივერი ჯიქურაული (95), დავით ხახალეიშვილი (მძიმე), ალექსი დავითაშვილი (აბსოლუტური).

გუშინწინ ტრავმამოშუშებული „ალანიას" ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი ვლადიკავკაზს ჩავიდა და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. აქვე გაცნობებთ, რომ ამ კოლექტივს სათავეში კვლავ ვალერი გაზაევი უდგას – მისი თხოვნა გადადგომის შესახებ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალსარბეკ გალაზოვმა არ დააკმაყოფილა.

ჩოგბურთი დევისის თასი
საქართველო - სლოვენია
1:1
გუშინ...
ლელა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე

ვლადიმერ მარგალიტაძე

ვლადიმერ გაბრიჩიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვლადიმერ მარგალიტაძე – იუტოკ ბოსიჩი 2:6, 3:6, 1:6

სამწუხაროდ, 20 წლის ქართველმა ვერ შეძლო ფიზიკურად ძლიერი მეტოქის დამარცხება. ბოსიჩი აშკარად უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ჩოგბურთელია, თუმცა მარგალიტაძეს მეორე სეტის მოგება მაინც შეეძლო. მესამე სეტში კი მასპინძელმა ველარ გაუძლო ძლიერ მოწოდებებს და საოცრად დაეტყო დაღლა.

ვლადიმერ გაბრიჩიძე – ბორუტ ური 6:3, 7:5, 1:6, 3:6, 6:4.

ეს შეხვედრა გაცილებით დაძაბული და საინტერესო იმითაც იყო, რომ კორტზე ორივე ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი გამოვიდა. გიგანტური სიმაღლის ურიმ პირველ სეტში მრავალი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

გაბრიჩიძე აშკარად აღემატებოდა კლასით მეტოქეს და მაყურებელიც მოხიბლა ლამაზი თამაშით. მესამე და მეოთხე სეტში ურიმ მოახერხა გამარჯვება. ბოლო სეტის გადამწყვეტ გეიმში ქართველმა ჩოგბურთელმა მაინც დაამტკიცა მაღალი კლასი და საერთო ჩათვლაში ანგარიში გაათანაბრა.

სამბო აშშ-სა და პანამერიკის ღია ჩემპიონატი

ოსტატი და შეგირდი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

ანზორ ზურაბაული (მარცხნივ) და გიორგი ჩხაიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

უჩვეულო ასპარეზობაა სამბისტთა პანამერიკული ღია ჩემპიონატი, რომელიც ერთდროულად აშშ-ის ჩემპიონატიცაა. უჩვეულოა კიდევ იმიტომაც, რომ მასში ორივე სქესის რამდენიმე თაობის სპორტსმენები გამოდიან. ამჯერად, ნიუ-იორკში საქართველოდან მხოლოდ ორი მონაწილის – გიორგი ჩხაიძის (ახალგაზრდობის ტურნირზე) და ერთი ვეტერანის – ანზორ ზურაბაულის მივლინება მოხერხდა. ფაქტობრივად სარბიელზე ოსტატი და შეგირდი იცავდნენ თავისი ქვეყნის ღირსებას. ნიჭიერმა ათლეტმა გიორგი ჩხაიძემ, რომელიც მანამდე ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი იყო, ამჯერად თავის სასარგებლოდ დაამთავრა ყველა შერკინება. ფინალში წმინდად დაამარცხა მასპინძელთა გუნდის წევრი რობინსონი და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. მისმა მწვრთნელმა ანზორ ზურაბაულმაც დაუმარცხებლად განვლო ვეტერანთა ტურნირი (ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო). ასე რომ, ჯერ ოსტატი ულოცავდა წარმატებას შეგირდს, მერე კი პირიქით – შეგირდმა გაიზიარა მწვრთნელის სიხარული.

დავძენთ, რომ გიორგი ჩხაიძე სტუ-ს სატრანსპორტო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია.

სააგენტო გუმათი

სამბო ევროპის ჩემპიონატი

ფაქსი ბაქოდან

ასპარეზობა დაამთავრეს ჭაბუკებმა. ევროპის ჩემპიონი გახდა თბილისელი გიორგი ჩადუნელი. მეორე ადგილზე გავიდნენ საგარეჯოელი ლევან ქიაბერაშვილი (65) და გორელი ნიკოლოზ ზაუტაშვილი (70). ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ქუთაისელმა ტყუპებმა თამაზ (48) და თემურ (52) ნეფარიძეებმა, აგრეთვე მცხეთელმა დავით ლოლუაშვილმა (81). გუნდური პირველობა: 1. აზერბაიჯანი, 2. რუსეთი, 3. უკრაინა, 4. საქართველო

გუშინ...

ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრა კალათბურთში.

III ადგილისათვის: ქიმიკოსი (რუსთავი) – სდასუ (თბილისი) 79:72 (40:40).

I ადგილისათვის: ვითა – დინამო 82:74 (42:41).

3 მაისს, ამავე გუნდების განმეორებითი შეხვედრებია.

სპორტი იღვიძებს საქართველოში!

ქართული ჭიდაობა ზონალური პირველობა

ჩოხიანთა ზეიმი ტყიბულში

ამ ასპარეზობამ დაამტკიცა, რომ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთზე არანაკლებ პოპულარულია ქართული ჭიდაობა

ამას წინათ „ლელომ" გამოაქვეყნა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს წლევანდელი პირადი პირველობის აღმოსავლეთ ზონის შედეგები. ახლა დასავლეთ ზონის ასპარეზობაც გაიმართა, რომელსაც ტყიბული მასპინძლობდა. ალბათ, ბევრს ახსოვს, მეშახტეთა ამ ქალაქში თავის დროზე შესანიშნავი სპორტული ბაზები იყო, მათ შორის, სპორტის სასახლეც, რომელმაც ახლა 5-6 წლის შემდეგ კვლავ გაუღო კარები მოასპარეზეებს. ტყიბულელებმა მართლაც სანაქებო მასპინძლობა გაუწიეს აჭარის, აფხაზეთის დევნილთა გუნდის, ქუთაისის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ონის, ცაგერის და ამბროლაურის წარმომადგენლებს. ლენტეხის, მესტიის და ვანის რაიონებიდან კი სამწუხაროდ, ტყიბულში არც არავინ ჩასულა და არც ამბავი გაუგზავნიათ. სვანებს შეიძლება უამინდობის გამო მიზეზიც ჰქონდათ, მაგრამ ვანელებს რაღა დაემართათ? ამ რაიონში ბევრი ახალგაზრდა მისდევს ჩვენს ეროვნულ ჭიდაობას და მათი ინტერესების დასაცავად ვინმემ ხომ უნდა იზრუნოს. ჩვენ კარგად ვიცით რაიონის ხელმძღვანელების დამოკიდებულება ვანში სპორტის აღორძინებისადმი და არა გვგონია, რომ კვლავ გზის ხარჯების პრობლემას ეჩინა თავი. რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ რაიონიდან ობიექტურ პასუხს მივიღებთ გამოთქმულ შენიშვნაზე.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იური იმერლიშვილმა ქებით მოიხსენია აჭარა, ზუგდიდის, ქუთაისის, ლანჩხუთისა და ცაგერის რაიონები, სადაც სპორტის ამ ეროვნულ სახეობას ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას უთმობენ.

2
1
3
კვარცხლბეკი

56 კგ: 1. გია გოგიბერიძე (ქუთაისი), 2. ბიძინა ჭყოიძე, 3. მერაბ კვირკველია (ორივე — ლანჩხუთი).
60 კგ: 1. ლევან დარცმელიძე (აჭარა), მერაბ წულაია (ქუთაისი), 3. გიორგი რუსიეშვილი (ოზურგეთი).
64 კგ: 1. ბადრი აბუსერიძე (აჭარა), 2. გენადი განიევი (ლანჩხუთი), 3. პაპუნა წელაური (ქუთაისი).
72 კგ: 1. პაატა ხარაბაძე (ქუთაისი), 2. ომარ ჯიქია (ზუგდიდი), 3. აკაკი თავაძე (ზესტაფონი).
78 კგ: 1. ნოდარ ჯოჯუა (ოზურგეთი), 2. გოდერძი შაინიძე (აჭარა), 3. აკაკი ჯანჯღავა (ზესტაფონი).
84 კგ: 1. დავით მგალობლიშვილი (ქუთაისი), 2. შოთა ნაჭყებია (ზუგდიდი), 3. გაგა გაბელაშვილი (ტყიბული).
90 კგ: 1. ლაშა ფიფია (ზუგდიდი), 2. გიორგი ჭიჭეიშვილი (ქუთაისი), 3. დავით კვაშილავა (ზუგდიდი).
მძიმე: 1. კობა სვანაძე (ზესტაფონი), 2. კობა ქომეთიანი (ცაგერი), 3. გოჩა სულიაშვილი (ტყიბული).

ცურვა ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი

რაო, რაო, ცურვაო?!

ამ ასპარეზობაში, რომელიც მსოფლიო ბავშვთა ცურვის დღის ეგიდით ჩატარდა სტამბულში, თურქეთის 20 საკლუბო გუნდი (ეს რიცხვი თავისთავად მიანიშნებს ცურვის მასობრიობაზე ამ ქვეყანაში), ეროვნული ნაკრები, ტუნისის, ბულგარეთის გუნდები და საქართველოს ორად-ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

– ტურნირი მხოლოდ 1981-1982 წლებში დაბადებულთათვის ტარდებოდა. ჩვენ შავლეგ შავერზაშვილი (1982) და ზურაბ ხუციძე (1981) წავიყვანეთ საასპარეზოდ. შავლეგმა ორჯერ მეორე, ზურაბმა კი სამჯერ მეოთხე ადგილი დაიკავა – გვითხრა დელეგაციის ხელმძღვანელმა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მარინა თარხნიშვილმა. დავაკონკრეტეთ: შავერზაშვილს ბრასის სტილით ცურვაში 100 მეტრზე 1.21.40წ. უჩვენებია, 200 მეტრზე – 2.55.44. ხუციძე თავისუფალი სტილით ცურვაში გამოდიოდა. აი, მისი შედეგები: 50 მ – 27,62, 100 მ – 1.00.03, 200 მ – 2,15.42. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც ასპარეზობდნენ ეს ბიჭები, აცხადებს, რომ შედეგები ცუდი არ არის. შეჯიბრება ჩატარებულა 50 მ-იან დახურულ აუზში.

თქვენი არ ვიცით, ჩვენ კი ამ ფაქტმა გაგვახსენა, რომ ცურვაც ავად თუ კარგად ოდესღაც იყო საქართველოში, მაღალი კლასის სპორტსმენებიც გვყავდა.

იქნებ თქვენც გაიხსენოთ, ქართული სპორტის მესაჭეებო!

საგანგებო გუშაგი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
საქართველოს პირველობა
● იუნიორები

შეჯიბრება, როგორც სპექტაკლი

თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს დიღმის მასივის სპორტულმა კომპლექსმა ამჯერად, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იუნიორთა (1977-1980 წლებში დაბადებულნი) საქართველოს პირველობას უმასპინძლა. პირად შეჯიბრებაში ჩაება 140 მონაწილე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან. მოასპარეზეთა შორის 5 ფალავანი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ან პრიზიორი იყო, რამაც აამაღლა ინტერესი ამ ასპარეზობისადმი.

ბოლო ხანებში ჭიდაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი, გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი) კარგი ტრადიცია დაამკვიდრა — ყველა შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ტარდება და კარგი რეჟისორის მიერ დადგმული თეატრალიზებული სანახაობის შთაბეჭდილებას ტოვებს, წარსულს ჩაბარდა ქაოსი და მსაჯთა უფლებებში ჩარევის შემთხვევები. გამონაკლისი, ცხადია, არც ეს პირველობა ყოფილა.

კვარცხლბეკი

49კგ: 1. კობა ბალავინოვი (ოზურგეთი), 2. დანტე მჟავანაძე (ქუთაისი), 3. მანუჩარ ფერაძე (თბილისი).
52 კგ: 1. რევაზ ლომაძე (ოზურგეთი), 2. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), 3. მიხეილ ზაურაშვილი (რუსთავი).
56 კგ: 1. ალექსანდრე ცერცვაძე (ქუთაისი), 2. თეიმურაზ ბერაძე (ოზურგეთი), 3. ლევან ოღიშარია (თბილისი).
60 კგ: 1. ზურაბ წიკლაური (თბილისი), 2. ამირან ღლონტი (ლანჩხუთი), 3. ალექსანდრე კუნჭულია (ბათუმი).
65 კგ: 1. ალექსანდრე დოხტურაშვილი, 2. ნუგზარ ცალუღელაშვილი (ორივე — გარდაბანი), 3. გივი მელაძე (ქუთაისი).
70 კგ: 1. გელა ჩხაიძე (ბათუმი), 2. ზვიად ნებუნიშვილი (გარდაბანი), 3. ალექსანდრე გელაშვილი (თბილისი).
76 კგ: 1. ბესარიონ ზურაბიანი (ოზურგეთი), 2. მიხეილ ადეიშვილი (რუსთავი), 3. ფრიდონ აბაშიძე (ოზურგეთი).
83 კგ: 1. დიმიტრი გელაშვილი (ბორჯომი), 2. ზვიად ქარდავა (თბილისი), 3. შიო გოგლიჩიძე (ქუთაისი).
90 კგ: 1. ზურაბ წიქარიძე (თბილისი), 2. გოგი შუბაშვილი (თერჯოლა), 3. გიორგი ჯობავა (თბილისი).
მძიმე (115 კგ.): 1. თამაზ გოგელია (თბილისი), 2. ლაშა გვადიბაძე (ქუთაისი), 3. სერგო მოქია (ბათუმი).

უნივერსიადა-97

ნუ გადაუკეტავთ ჟანგბადს სტუდენტურ სპორტს

ჩვენში, სტუდენტური სპორტის მაჯისცემა, ბოლო წლებში, მედიკოსთა გამოთქმას რომ დავესესხოთ, თითქმის „აღარ ისინჯებოდა". საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ პირველმა დაიწყო მისი რეამინაცია. თუმცა, ახლა პარალელურად თბილისში სტუდენტური დღეების პროგრამითაც ტარდება შეჯიბრებები. ისე, ალბათ, აჯობებდა ან არ დაემთხვიათ ეს ორი ღონისძიება ან ერთი მეორის შემადგენელ ნაწილად ექციათ.

და ამ დროს: რეამინაციაში მყოფ სტუდენტურ სპორტს თუ უარესი არა, დროებითი კლინიკური სიკვდილი მაინც ემუქრება.

SOS

„ლელოს" კორესპონდენტებმა შეჯიბრებებზე შეიტყვეს, რომ უნივერსიადას ჩაშლა ემუქრება. მიზეზი? უსახსრობა! ფაქტების გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ის, რაც შეიძლება ჭორი გამომდგარიყო, საუბედუროდ, რეალობაა. უნივერსიადას ატარებს საუნივერსიადო სპორტის ფედერაცია და ასეთ ღონისძიებას, ცხადია, დაფინანსება ესაჭიროება. დამფინანსებელი კი საქართველოს განათლების სამინისტრო უნდა ყოფილიყო. ფედერაციამ დაპირებული თანხა ვერ მიიღო და ახლა არავინ იცის ჩატარდება თუ არა პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში, კრივში, ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ცურვასა და წყალბურთში.

მოფარიკავეებმა კი დაასრულეს ასპარეზობა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

ვაჟები. *რაპირა:* 1. ირაკლი ბარამიძე (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია — ფასა), 2. ვახტანგ ცხვარაშვილი (სტუ), 3. კონსტანტინე კიკილაშვილი (თსუ). დაშნა: 1. გიორგი თავართქილაძე (თსუ), 2. გიორგი ბერძენიშვილი (ფასა), 3. პაპუნა პეტრიაშვილი (თსუ). ხმალი: 1. არჩილ ლორთქიფანიძე (საერთაშორისო ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტი — სბსი), 2. ალექსანდრე ჩიტიშვილი (სტუ), 3. ზაზა გოგალაძე (ფასა).

ქალები. *რაპირა:* 1. ხათუნა ჭუმბურიძე, თამარ ჭუმბურიძე (ორივე — თსუ), 3. ეკა ლუნაშვილი (სტუ). დაშნა: 1. ნინო მათითაიშვილი. 2. სოფიო დიდია, 3. თამარ დაღანიძე (სამივე — თსუ).

თბილისის მოსწავლეთა 51-ე სპარტაკიადა

ჩატვრული ტანვარჯიში. დებულებით ჩატარდა მხოლოდ გუნდური პირველობა. გუნდი დედაქალაქის ყველა რაიონმა გამოიყვანა. გაიმარჯვეს ისნის რაიონის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილზე გავიდა მთაწმინდის, მესამეზე – სამგორის რაიონის გუნდები.

ფეხბურთი. მონაწილეობდნენ თბილისის ათივე რაიონის 1983-1984 წლებში დაბადებულნი. ადგილები ასე განაწილდა: 1. დიდუბის რაიონი (განათლების განყოფილების გამგე მერაბ ბოქოლიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი თემურ ლობჟანიძე, მწვრთნელი გელა გელაშვილი), 2. საბურთალო (განათლების განყოფილების გამგე გია ზენაიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი შალვა ბერიძე, მწვრთნელები ზაზა დიდებაშვილი და გურამ პავლიაშვილი), 3. მთაწმინდის რაიონი (განათლების განყოფილების გამგე ელენე ძნელაძე, სპორტსკოლის დირექტორი გოჩა გუგუშვილი, მწვრთნელი პაატა გოცირიძე). ფინალში დიდუბელებმა საბურთალოელებს 2-0 სძლიეს. მესამე ადგილისათვის პაექრობაში მთაწმინდელებმა აჯობეს ნაძალადეველებს 4-3 (პენალტებით). ჩემპიონ გუნდში მთლიანად „ავაზას" წარმომადგენლები იყვნენ. ამ საფეხბურთო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მალხაზ კოლანაშვილი შედეგითაც კმაყოფილი დარჩა და ტურნირის ორგანიზაციითაც. ამ გუნდის წევრი ირაკლი გელაშვილი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. კიდევ ორ ავაზელს ხვდა სპეციალური პრიზი – სოსო ბუცხრიკიძეს საუკეთესო მეკარისა და თემურ მეტრეველს საუკეთესო ნახევარმცველისა. ვაკე-91-ის მოთამაშე გიორგი ჭანტურიაა საუკეთესო თავდამსხმელად სცნეს, მის თანაგუნდელ ბაჩო მენაღარიშვილს კი საუკეთესო მცველის პრიზი გადაეცა.

სურათზე:

თბილისის მოსწავლეთა 51-ე სპარტაკიადის ჩემპიონი — დიდუბის რაიონის გუნდი („ავაზა")

პირველ რიგში (მარცხნიდან): ნიკა ხებუა, ლაშა ჯანგიძე, ირაკლი გელაშვილი, თემურ მეტრეველი (გუნდის კაპიტანი), ზურაბ უთრუთაშვილი, მერაბ ლობჟანიძე, ვახილ ლუჭაშვილი, ვახტანგ ქუცურუა; მეორე რიგში (მარცხნიდან): თემურ ლობჟანიძე (დიდუბის რაიონის სპორტსკოლის დირექტორი), ლაშა ხელაძე, ზვიად ხრიკაძე, ნიკა იაკობიძე, სოსო ბუცხრიკიძე, ლაშა კირვალიძე, მამუკა შუბითიძე, თემურ მალანია; მწვრთნელი — გელა გელაშვილი.

ჩოგბურთი
მსოფლიო ფედერაციის თასის გათამაშება

ადგილზე, იარ!

ჩოგბურთში მსოფლიო ფედერაციის თასის წლევანდელ გათამაშებაში საქართველოს ქალთა გუნდს მეორე ლიგიდან პირველში გადასვლის შანსი გაუჩნდა მას შემდეგ, რაც მას წილისყრამ ისრაელის სლოვენიისა და ლატვიის ნაკრებებთან შეხვედრები არგუნა. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის წევრებმა ნინო ლუარსაბიშვილმა, ირინე კაკულიამ და სოფიკო მანაგაძემ სამივე მეტოქის ყველა წევრთან შეხვედრაში დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი და გაისად ისევ მეორე ლიგაში განაგრძობენ მაღალ ლიგაში გადასვლისათვის ბრძოლას.

საგანგებო გუშაგი

შეხვედრა მიგელ ნაიდორფთან

მსოფლიო ოლიმპიადამ ერევანში თავი მოუყარა მთელ საჭადრაკო ელიტას. მონაწილეთა შორის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იყვნენ ამჟამად მოქმედი მოჭადრაკეთა უძლიერესი, საუკეთესო წარმომადგენლები: მსოფლიო ჩემპიონი გ. კასპაროვი, ვ. ივანჩუკი, ვ. ტოპალოვი, ნ. შორტი, ი. პოლგარი, მ. ჩიბურდანიძე, სე ჯუნი... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

მაგრამ მათ გარდა ამ გრანდიოზულ საჭადრაკო პარადზე წარმოდგენილი იყვნენ უფროსი თაობის სხვა გამოჩენილი დიდოსტატებიც, რომლებიც მწვრთნელების, მსაჯების, გუნდების კაპიტნების, თუ კონსულტანტების ფუნქციებს ასრულებდნენ.

მათ შორის უდავოდ ყველაზე კოლორიტული ფიგურა გახლდათ უხუცესი არგენტინელი დიდოსტატი, 87 წლის მიგელ ნაიდორფი, რომელიც ჩამოსული იყო როგორც არგენტინის გუნდის კაპიტანი და სპონსორი (!). არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ ნაიდორფი მუდამ იყო ნებისმიერი ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მონაწილე: ენამოსწრებული, ძალზე ექსპანსიური, და, ამავე დროს უღრესად კეთილმოსურნე ადამიანი, თავი რომ დავანებოთ მის ძალიან დიდ საჭადრაკო ძალას. 40-60 წლებში იგი შევიდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა სიაში.

ცხადია, დროს და წლებს თავისი გააქვს. ოდესღაც ესოდენ მოძრავი და დაუდეგარი დიდოსტატი ახლა მძიმედ დააბიჯებს, ხშირად ჩერდება სულის მოსათქმელად (გულს უჩივის), მაგრამ კეთილი ღიმილი, შეიძლება ითქვას, არ შორდება მის სახეს. მას ყველანი ძალზე გულითადად და სიყვარულით ესალმებიან, თანაც სხვადასხვა ენაზე. ნაიდორფმა მგონი ყველა ევროპული ენა იცის მეტ-ნაკლებად. როგორც თავად ამბობს, მისი პირველი ენა პოლონურია (წარმოშობით პოლონელი ებრაელია), მეორე — გერმანული, ხოლო მესამე — ამჟამად კი პირველი — ესპანური. დავუმატებ, რომ რუსულადაც თავისუფლად ლაპარაკობს.

დიდ ყურადღებას უთმობს თავის ჩაცმულობას — ყოველდღე იცვლიდა ელეგანტურ კოსტიუმებს.

ნაიდორფი ოლიმპიადის გახსნამდე ორი დღით ადრე ჩავიდა ერევანში (ისევე როგორც საქართველოს დელეგაცია) და ამ ორი დღის მანძილზე, სანამ იგი მარტო იყო, საშუალება მომეცა მასთან თითქმის მუდმივი ურთიერთობისა. ბევრი რამ საინტერესო და სახალისო გავიგონე მისგან. შევეცდები მოვიგონო ყოველივე.

ჯერ ერთი, როგორ მოხდა, რომ ნაიდორფი არგენტინის გუნდისაგან განცალკევებით აღმოჩნდა ერევანში? თურმე, ჭარმაგი დიდოსტატი, ასაკის მიუხედავად, სრულებითაც არ უჩივის თავის მეხსიერებას და საჭადრაკო ალღოს და ოლიმპიადაზე ჩამოვიდა ჰოლანდიიდან, სადაც ქ. გრონინგენში მონაწილეობდა ვეტერან მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა 75 წლის უბერებელმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვ. სმისლოვმა, ხოლო მეორე ადგილი — 87 წლის მიგელ ნაიდორფმა!

აქ მომიხდება პატარა ისტორიული ექსკურსის გაკეთება. 1946 წელს, როდესაც საჭადრაკო სამყარო მსოფლიო ჩემპიონის გარეშე დარჩა (მარტის თვეში გარდაიცვალა პორტუგალიაში განმარტოებით მცხოვრები გენიალური ა. ალიოხინი), ჰოლანდიის ქ. გრონინგენში აგვისტო-სექტემბერში გაიმართა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა დიდი ტურნირი (20 მონაწილე 12 ქვეყნიდან), რომელსაც უნდა გაერკვია თუ „ვინ ვინ არის" საჭადრაკო სამყაროში ომის შემდგომ ეპოქაში.

ტურნირის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ გაიმარჯვებდა მსოფლიოს ექსჩემპიონი, 45 წლის ჰოლანდიელი დიდოსტატი მაქს ეივე, რომელსაც ავტომატურად მიენიჭებოდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

დასაწყისიდანვე ბრძოლა გაიმართა ეივესა და საბჭოთა კავშირის იმ დროის უძლეველ ჩემპიონს მიხეილ ბოტვინიკს შორის. ბოლო ტურისათვის ბოტვინიკს ჰქონდა 14,5 ქულა, ეივეს — 14, პირველი ხვდებოდა მე-5 ადგილზე მყოფ ნაიდორფს, მეორე კი-მე-11 ადგილზე მყოფ კოტოვს.

მოხდა ისე, რომ ნაიდორფმა ბრწყინვალედ დაამარცხა ბოტვინიკი. ახლა საკმარისი იყო ეივეს გამარჯვება კოტოვთან და იგი მსოფლიო ჩემპიონი ხდებოდა, მაგრამ კოტოვმა, რომელსაც ადრე ბოტვინიკი ჰყავდა დამარცხებული, ეივესაც მოუგო. საბოლოოდ, პირველ ადგილზე გავიდა ბოტვინიკი, მეორეზე — ეივე, მესამეზე — სმისლოვი (12,5 ქულით) და მეოთხეზე — ნაიდორფი (11,5).

და აი, ამ განთქმული ტურნირის ზუსტად 50 წლისთავზე ჰოლანდიის საჭადრაკო ორგანიზაციამ გადაწყვიტა საიუბილეო ტურნირის ჩატარება ამავე ქალაქში, მისი ცოცხლად დარჩენილი 7 მონაწილის (20-დან!) შემადგენლობით.

ასეთები აღმოჩნდნენ 87 წლის მ. ნაიდორფი, 83-ის კ. გიმარი (არგენტინა), 82-ის ა. დენკერი (აშშ), 79-ის ი. საბო (უნგრეთი), 75-ის ვ. სმისლოვი (რუსეთი), 74-ის მ. კრისტოფელი და ყველაზე „ახალგაზრდა" — 71-ის დ. იანოვსკი (კანადა).

იხ. მე-6 გვ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

XXVI გადმოტანილი ტური

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

მერანი-91 (თბილისი) – თსუ-შევარდენი (თბილისი) 4-2

მერანი-91: დოლიძე, გოგიტაძე (ბუტიკაშვილი), ცქიფურიშვილი, დავითაშვილი, კაკუბავა (ბახტაძე), გელა ქორიძე, კვარაცხელია, ჯიშკარიანი, ამბიძე, გოდერძიშვილი (ბაკურაძე), გაბისონია.

თსუ: ბათიაშვილი, გიორგი ქორიძე, სულთანოვი, კობიაშვილი, თელიაშვილი (გოძიაშვილი), კანკავა (გვაზავა), მინდიაშვილი, გაგუა, ჩუხუა, მელქაძე, ჩოგოშვილი.

გოლები: 1-0 გოდერძიშვილი (7), 2-0 კვარაცხელია, 3-0 გაბისონია (55), 3-1 ჩუხუა (56), 4-1 დავითაშვილი (80), 4-2 მელქაძე (81, პენ.).

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი).

სამტრედია – დილა (გორი) 1-0

სამტრედია: სტურუა, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, ლორია, პავლიაშვილი, ჭელიძე, ჩომახიძე, ფრანგიშვილი, მარკოზია, ივეჩიანი, დარსაძე (ცომაია).

დილა: ვოლკოვი, ჯალაბაძე (აკოფიანი), ხაჭაპურიძე, ჯ. განიძე, თარხნიშვილი, ხ. განიძე, მარეხაშვილი, კაიდარაშვილი, ხორგუაშვილი (წკრიალაშვილი), გვაზავა, ფხაკაძე.

გოლი: ჭელიძე (76).

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

მარგვეთი (ზესტაფონი) – იბერია (ხაშური) 1-2

მარგვეთი: მერკვილიშვილი, მალაღურაძე, გურიელიძე, სულაკაძე, შავგულიძე (ჭელიძე), კაციაშვილი, მოსიკაშვილი, მუმლაძე, უგულავა, გუბელაძე.

იბერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, ლომიძე (კალმახელიძე), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი (ქეთელაური), ჭაჭუა, წივწივაძე (ვეშაპიძე), თორია.

გოლები: 0-1 კალმახელიძე (46), 0-2 ჩადუნელი (50), 1-2 უკლება (57).

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი).

კოლხეთი-1913 (ფოთი) – სიონი (ბოლნისი) 4-0

კოლხეთი-1913: გოგუა, მ. ქობულაძე, კაკაჩია, ტორჩინავა, გოროზია, ღაღანიძე (თიბილაშვილი), ფანჩულიძე, დ. მახარაძე (ბაჩილავა), ე. გვასალია, გ. დარასელია, ბულუხია.

სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე, ჯაგიდისი (ვ. სამხარაძე), მოსეშვილი (ა. ჭანტურია).

გოლები: დ. მახარაძე (4,25), გ. დარასელია (15), ბულუხია (28).

მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი).

კახეთი (თელავი) – გურია (ლანჩხუთი) 4-2

კახეთი: პაქსაშვილი (ძამუნაშვილი), ალადაშვილი, კ. წიკლაური, ტარუღაშვილი, ნაკუდაიძე, ფოფხაძე, ჯაშიაშვილი (ბოჭორიშვილი), ღვინიაშვილი, შონია (ტოკლიკიშვილი), მაზანაშვილი, მესხიძე.

გურია: სულავა (ბაბაშვილი), ლევან ყოლბაია, თოლორდავა, კუკულაძე, ყანჩაშვილი (თ. გოგიჩაიშვილი), ლაშა ყოლბაია, ცერცვაძე, განევი, გვიანაძე, პატარაია, ქიქავა.

გოლები: 1-0 ფოფხაძე (39), 2-0 შონია (63), 3-0 ღვინიაშვილი (70), 3-1 თოლორდავა (85), 4-1 მესხიძე (87), 4-2 პატარაია (89).

ჩემპიონატის აუტსაიდერები „არ ხუმრობენ!"

საქართველოს მერვე ეროვნული ჩემპიონატი ფინიშის „სწორზე" გავიდა. მართალია, გუნდებს კიდევ აქვთ ჩასატარებელი საკმაო რაოდენობის მატჩები (ექვსი-რვა შეხვედრა), მაგრამ ბევრი რამ უკვე გარკვეულია. ასე, პრაქტიკულად ცნობილია ჩემპიონი — თბილისის „დინამო", პრიზიორები — ბათუმის „დინამო", ფოთის „კოლხეთი-1913", თბილისის „მერანი-91", მეოთხე ადგილზეა, რაც „ინტერტოტოზე" გასვლის საგზურს იძლევა (არა გვგონია დარჩენილ დროში ქუთაისის „ტორპედომ" ტრანსპორტელებს გადაუსწროს). ნათელია იმ კოლექტივების ვინაობაც, რომლებმაც სატურნირო ცხრილში „მშვიდ" შუალედში მოექცევიან (ზუგდიდის „ოდიში", ზესტაფონის „მარგვეთი", ლანჩხუთის „გურია", გორის „დილა"). დანარჩენები?

აი, სწორედ ამ დანარჩენებზე გვექნება საუბარი. აღსანიშნავია, რომ შარშან, როგორც იქნა, სფფ-მ გაბედა და დააკანონა, რომ ქვედა ჯგუფში გადავა არა ადრინდელივით ორი, არამედ სამი კოლექტივი. ცხადია, ამან მეტი სიმწვავე შემოიტანა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში.

მაინც, ვინ არიან პირველი ჯგუფიდან გავარდნის კანდიდატები? ასეთებად 7 გუნდი უნდა მივიჩნიოთ. ესენია „სამტრედია", ბოლნისის „სიონი", თბილისის „თსუ-შევარდენი", რუსთავის „გორდა", წყალტუბოს „სამგურალი", ხაშურის „იბერია" და თელავის „კახეთი" მეათე ადგილზე მყოფ „სამტრედიასა " და ნაბოლარა „კახეთს" შორის ქულათა სხვაობა ექვსს შეადგენს, რაც ამჟამად მოქმედი სამქულიანი დარიცხვის პირობებში დიდი მანძილი არ უნდა იყოს.

მოდით, ჯერ გავარკვიოთ, ვისთან დარჩა ამ შეიდეულს სათამაშო და შემდეგ ვიმსჯელოთ გუნდების შანსებზე.

„სამტრედია". შინ —„დინამო" (ბთ), „იბერია", „თსუ-შევარდენი".
სტუმრად — „ტორპედო", „სიონი", „ოდიში".

„სიონი". შინ — „მარგვეთი". „სამტრედია", — დინამო (ბთ).
სტუმრად — დინამო (თბ.), „გორდა", „ტორპედო".

„თსუ-შევარდენი". შინ — „კახეთი", „დინამო" (თბ.), „კოლხეთი-1913".
სტუმრად — „გურია", „მარგვეთი", „სამტრედია".

„გორდა". შინ — „ტორპედო". „სიონი", „ოდიში".
სტუმრად — „სამგურალი", „დინამო" (ბთ.), „დილა", „იბერია".

„სამგურალი". შინ — „გორდა", „დინამო" (ბთ.) „ტორპედო", „დილა".
სტუმრად — „გურია", „კახეთი", „მერანი-91".

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბილისი)	22	18	3	1	72-18	57
დინამო (ბათუმი)	23	15	6	2	54-13	51
კოლხეთი-1913 (ფოთი)	24	15	4	5	51-22	49
მერანი-91 (თბილისი)	24	13	6	5	37-23	45
ტორპედო (ქუთაისი)	23	12	3	8	57-44	39
ოდიში (ზუგდიდი)	23	11	1	11	41-33	34
მარგვეთი (ზესტაფ.)	23	10	1	12	36-49	31
გურია (ლანჩხუთი)	24	9	3	12	29-49	30
დილა (გორი)	24	7	7	10	22-28	28
სამტრედია	24	8	2	14	24-44	26
სიონი (ბოლნისი)	24	7	5	12	17-30	26
თსუ-შევარდენი (თბ.)	24	6	8	10	31-32	26
გორდა (რუსთავი)	23	7	2	14	30-43	23
სამგურალი (წყალტ.)	23	6	4	13	21-44	22
იბერია (ხაშური)	24	5	6	13	18-40	21
კახეთი (თელავი)	24	8	1	15	20-47	20

„იბერია". შინ — „დინამო" (თბ.), „კოლხეთი-1913", „გორდა".
სტუმრად — „მერანი-91", „სამტრედია", „დინამო" (თბ.)

„კახეთი". შინ — „ოდიში", „სამგურალი", „დინამო" (თბ.)
სტუმრად — „თსუ-შევარდენი", „მერანი-91", „მარგვეთი".

წინა წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩემპიონატის ფინიშზე „ილვიძებენ" აუტსაიდერები და სწორედ ამ დროს იწყება მათი საოცარი „გარდაქმნა" — წყალწაღებული „მაჩანჩალა" გუნდიდან ეს კოლექტივები ლიდერთა და საშუალო გუნდების რისხვად წარმოგვიდგება. რაშია საქმე, ნუთუ ასეთ მოკლე პერიოდში შეიძლება, რომ აუტსაიდერები მომძლავრდნენ, თუ... მიგვიხვდით, ალბათ, მკითხველო, რისი თქმაც გვინდა: ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ ქულების ასეთი აღებ-მიცემა ქართულ ფეხბურთს ღუპავს. ეროვნულ ჩემპიონატს მაყურებელი ისედაც ცოტა ჰყავს და მოდით ისინი მაინც შევინარჩუნოთ. რაშია გამოსავალი, იკითხავთ. ჯერ ერთი, ალბათ, ჯგუფიდან გასავარდნი გუნდების რაოდენობა კიდევ უნდა გავზარდოთ, რათა შევამციროთ სატურნირო ცხრილის შუა ნაწილში არხეინად მყოფი გუნდების რაოდენობა. და მეორე, რაც მთავარია, ალბათ, დადგა დრო სფფ-ში შეიქმნას ნამდვილად მებრძოლი კომისია საზოგადოებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით, რომელიც სააშკარაოზე გამოიტანს ქულების ამ აღებ-მიცემის ფაქტებს.

ზემოთ დაგპირდით, კონკრეტულად ვიმსჯელოთ აუტსაიდერი გუნდების შანსებზე-მეთქი, მაგრამ, ვფიქრობთ, დღევანდელი ვითარების გამო ეს შეუძლებელია. და მაინც, „იბერია" ჩადის ზესტაფონში და იქიდან სამი ქულა ჩამოაქვს... ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კვლავ, როგორც წინათ, ჯგუფიდან გავარდნას ის გუნდები გადაურჩებიან, ვისაც პატრონი ჰყავს (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის თავისებური გაგებით).

ჯემალ ჭიპაშვილი

P.S. გახსოვთ, ალბათ, სსრ კავშირის წლებში ერთ-ერთმა ცენტრალურმა სპორტულმა გაზეთმა სარკაზმულად შენიშნა, რომ სამხრეთელი გუნდები განსაკუთრებით „ძლიერად" მაშინ თამაშობენ, როცა პლანტაციებში მანდარინი მწიფდება, რაც ძალზე მტკივნეულად და შეურაცხმყოფელად აღვიქვით. თურმე...

ფეხბურთი ● ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ● შესარჩევი ტურნირი

„ჩხირი კედელს" - ქულა აიღეს!

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ვალერი ომაძე — ლონდონიდან:

ინგლისი — საქართველო 0-0. „ჩარლტონ ატლეტიკის" სტადიონი. 12 ათასი მაყურებელი.

ინგლისი: რაიტი, ოუქლი, ჰოლი, ბრუქსი (გრენვილი), ფერდინანდი, კარაჰერი, ბოუერი, ჰიუზი, სკოუკროფთი, ჰისკი (ჰაკერბი), იდი (მორისი).

საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, ცქიტიშვილი, დიდავა, ხუჯაძე, ასათიანი (ქებაძე), კიკნაძე, გოგობერიშვილი (აშვეთია), ფოცხვერია, იაშვილი.

გააფრთხილეს: გოგობერიშვილი, ქებაძე

მსაჯი: ე. რომაინი (ბელგია)

1994 წლის 6 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინა გათამაშებაში საქართველოს 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებმა მოლდოველები დაამარცხა 3-0. მას შემდეგ ჩვენებს ოფიციალურ თუ ამხანაგურ მატჩებში ქულაც არ აუღიათ. ახლა, როგორც იქნა, ნავსი გატყდა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა ნაკრების მწვრთნელმა დიტერ ტეილორმა განაცხადა: „ჩვენ უნდა მოგვეგო, მე იმედგაცრუებული ვარ. ქართველებმა პირველი ქულა მოიპოვეს, თუმცა შესარჩევი ტურნირის პირველი გოლის სიხარული წინა აქვთ". ვლადიმერ გუცაევმა კი აღნიშნა, რომ ინგლისელები ძალიან სწორხაზოვნად თამაშობდნენ, თანაც ტექნიკურად მოიკოჭლებდნენ, სწორედ ამ კომპონენტში ვჯობნიდით მასპინძლებსო.

დიახ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საზრიანად და საიმედოდ ითამაშა. ინგლისელთა მასირებულ შეტევებს ჩვენებმა სწრაფი კონტრშეტევები დაუპირისპირეს. განსაკუთრებით სახიფათოდ უტევდნენ ინგლისელთა კარს იაშვილი და ფოცხვერია. მატჩის პირველ ნახევარში ლიუბეკელმა ფორვარდმა ორჯერ მოახვედრა ბურთი ინგლისელთა კარის ძელს. დიდად გაისარჯნენ ჩვენი ნახევარმცველები, რომელთა რიგებში გამოირჩეოდნენ კიკნაძე და გოგობერიშვილი. საუცხოოდ ითამაშეს მცველებმა და, განსაკუთრებით, მეკარე დავით გვარამაძემ.

I ჯგუფი

საბერძნეთი — ხორვატია 2-0
დანია — სლოვენია 2-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საბერძნეთი	6	4	1	1	7-5	13
ხორვატია	5	2	0	3	5-6	6
სლოვენია	4	2	0	2	4-5	6
ბოსნია	4	1	1	2	3-4	4
დანია	3	1	0	2	4-5	3

II ჯგუფი

ინგლისი — საქართველო 0-0

ინგლისი	5	3	2	0	4-0	11
იტალია	5	3	1	1	16-2	10
მოლდოვა	4	1	0	3	3-12	3
პოლონეთი	3	0	2	1	2-4	2
საქართველო	3	9	1	2	9-9	1

III ჯგუფი

ნორვეგია — ფინეთი 3-0
შვეიცარია — უნგრეთი 4-1

ნორვეგია	4	3	1	0	15-5	10
საფრანგეთი	3	2	1	0	4-1	7
ფინეთი	3	1	1	1	3-4	4
შვეიცარია	4	1	1	2	8-10	4
უნგრეთი	4	0	0	4	2-11	0

IV ჯგუფი

ლატვია — ბელარუსი 0-3
ავსტრია — ესტონეთი 7-1
შვედეთი — შოტლანდია 2-1

ბელარუსი	5	4	1	0	12-3	13
შვედეთი	5	4	0	1	13-6	12
ავსტრია	5	3	1	1	14-6	10
შოტლანდია	7	2	1	4	8-12	7
ლატვია	5	0	2	3	0-7	2
ესტონეთი	5	0	1	4	3-16	1

V ჯგუფი

რუსეთი — ლუქსემბურგი 8-0
ისრაელი — კვიპროსი 4-3

ისრაელი	5	4	1	0	11-2	13
რუსეთი	5	4	0	1	21-3	12
ბულგარეთი	4	2	0	2	7-6	6
კვიპროსი	5	1	1	3	6-10	4
ლუქსემბურგი	5	0	0	5	2-26	0

VI ჯგუფი

იუგოსლავია — ესპანეთი 1-2

ესპანეთი	6	5	1	0	10-3	16
იუგოსლავია	5	3	0	2	6-3	9
სლოვაკეთი	3	2	1	0	10-1	7
ჩეხეთი	4	1	0	3	7-6	3
მალტა	6	0	0	6	0-21	0

VII ჯგუფი

თურქეთი — ბელგია 2-1
სან-მარინო — ჰოლანდია 0-7

ჰოლანდია	6	4	1	1	18-3	13
უელსი	6	4	0	2	9-5	12
თურქეთი	5	3	0	2	9-4	9
ბელგია	5	2	1	2	10-7	7
სან-მარინო	6	0	0	6	1-28	0

VIII ჯგუფი

რუმინეთი — ირლანდია 1-0

რუმინეთი	5	5	0	0	9-4	15
ისლანდია	4	3	0	1	8-3	9
ირლანდია	4	2	0	2	8-2	6
ლიტვა	3	0	0	3	2-7	0
მაკედონია	4	0	0	4	0-11	0

IX ჯგუფი

გერმანია — უკრაინა 2-0

გერმანია	4	4	0	0	9-1	12
პორტუგალია	5	3	0	2	10-8	9
უკრაინა	4	2	0	2	4-3	6
ალბანეთი	4	1	0	3	5-13	3
სომხეთი	3	0	0	3	5-8	0

თექვსმეტწლიანებმა კვლავ წააგეს

საქართველოს 16 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა გერმანიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეორე მატჩიც წააგო: უნგრელებთან 3-6 მარცხის შემდეგ იგივე განმეორდა იტალიელებთანაც, ოღონდ, უფრო საპატიო ანგარიშით — 3-5. აქაც პირველი ტაიმის მოგების შემდეგ (1-0), ჩვენებმა სუსტი ფიზიკური მომზადების წყალობით მატჩის მეორე ნახევარი პირწმინდად დათმეს. ქართველებიდან გოლები გაიტანეს ჯაკობიამ, დეკანოსიძემ და გველესიანმა.

ამავე „C" ჯგუფში უნგრელებმა ბელგიელებთან წააგეს, 0-1.

აი, როგორ გამოიყურება დღეისათვის სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბელგია	2	2	0	0	2-0	6
უნგრეთი	2	1	0	1	6-4	3
იტალია	2	1	0	1	5-4	3
საქართველო	2	0	0	2	6-11	0

დისკუსია ფეხბურთში IX ეროვნული ჩემპიონატის დებულების პროექტი

ნუ დავარღვევთ სპორტულ პრინციპს - ასპარეზობის დაუწერელ კანონს

მიუხედავად დებულების სრულყოფის მცდელობისა — ყველა ღონისძიება კოსმეტიკური ხასიათის იქნება, თუ ფეხბურთის ფედერაციამ არ მოიშალა იმ სამ ძირითად პოზიციაზე დგომა, რომელიც ქართულ ფეხბურთს აშკარად ამუხრუჭებს. ჩემი აზრით აუცილებელია:

1. გაუქმდეს ქულათა დაკლების არსებული წესი, რომელიც არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ დროში არ ყოფილა მიღებული — ქულათა დაკლებით ირღვევა სპორტული პრინციპი — ასპარეზობის მთავარი მიზანი. ამას გარდა, იგი უგვანო, აბსურდული და დისკრიმინაციულიცაა და თუ რატომ, ქვემოთ მოვიყვან ასეთ მოვლენასთან დაკავშირებულ ერთ შემთხვევას.

ამ ორიოდე წლის წინათ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საფეხბურთო ქალაქში ჩემპიონატის უკანასკნელი კალენდარული მატჩი გაიმართა, რომელიც სანახაობრივადაც არ იყო ურიგო და არავითარ ექსცესებს მატჩის მსვლელობისას ადგილი არ ჰქონია. თითქოს შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო — 0-0. მაგრამ, თურმე, სხვანაირად ფიქრობდა ამ შეხვედრის არბიტრი (გვარს განზრახ არ ვასახელებ, რადგან ამას დღესდღეობით მნიშვნელობა არა აქვს), რომელიც უკანასკნელ წუთზე აშკარად გამოგონილი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა სტუმართა კარში. ამან, ცხადია, არა მარტო სტუმართა გუნდის, არამედ ტრიბუნებზე მყოფი მასპინძელი მაყურებლების აღშფოთება გამოიწვია. სტუმართა გუნდი ნახევარი საათის განმავლობაში საშუალებას არ აძლევდა მოწინააღმდეგეს აღესრულებინა ფეხბურთში სასჯელის უმაღლესი ზომა. ამასობაში მოედანი ვაიგულშემატკივრებით გაივსო. სტუმართა გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელი მივარდა მსაჯს და დაუწყო უმოწყალოდ ცემა, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, არბიტრი „კარატეს" მოყვარული გამოდგა და თითოეულ მომხდურს ოსტატურად იცილებდა ხელით, ფეხით, თავით, მუხლით და ა.შ. ბოლოს პოლიციამ, როგორც იქნა, მოედანზეც წესრიგი დაამყარა (თუ ამას წესრიგი ჰქვია!). 11-მეტრიანი საჯარიმოც შესრულდა და მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 1-0 (თუ ამას გამარჯვება ჰქვია!)... ეს ფაქტი თავის დროზე მიაფუჩეჩეს, ისე როგორც ამას წინათ მარტვილში გამართული შეხვედრა, რომლის დროსაც მსაჯები მაგრად მიბეგვეს...

დავუბრუნდეთ ისევ წინანდელ შემთხვევას — რა უნდა მოჰყოლოდა შედეგად ასეთ უმსგავსობას ყველა ნორმალურ ქვეყანაში?

1. სტუმართა გუნდი გათამაშებიდან მოიხსნებოდა.
2. გაუქმდებოდა მატჩის შედეგი.
3. მთავარი არბიტრი დისკვალიფიცირებული იქნებოდა.
4. მასპინძელთა სტადიონს მიეცემოდა დისკვალიფიკაცია.

ერთადერთი უცოდველი ზემოაღნიშნულ მატჩში მასპინძელთა გუნდი იყო, რომელიც კეთილსინდისიერად იბრძოდა უკანასკნელ წუთებამდე და მატჩის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელები ერთმანეთს ჩუმად ეუბნებოდნენ — ვის რაში სჭირდება ასეთი მოგებაო. და ამის შემდეგ მოდი და კოლექტივს ჩამოაკელი 5 ქულა, გუნდი ხომ აბსოლუტურად არაფერში იყო დამნაშავე.

2. გაუქმდეს მსაჯთა ადგილზე ფულადი ანაზღაურება. მეოთხე სათადარიგო მსაჯი ადგილზე გამოინახოს, ხოლო მთავარი მსაჯის ავადმყოფობის, ტრავმის ან სხვა უბედურების შემთხვევაში მისი მოვალეობა ერთ-ერთმა გვერდითმა არბიტრმა იკისროს. მსაჯთა ანაზღაურების ზემოაღნიშნული პრინციპი პროფესიონალური ფეხბურთიდანაა ნასესხები და მას ჩვენს პირობებთან ნაკლები კავშირი უნდა ჰქონდეს. დღეს კაცმა არ იცის ჩვენი ფეხბურთი პროფესიონალურია თუ სამოყვარულო!

3. ფეხბურთის ფედერაციამ შეამციროს პირველ ჯგუფში მონაწილეთა რიცხვი 8-10-მდე და ასპარეზობა 4 წრედ გამართოს, ისე როგორც ეს ევროპის ბევრ და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაშია მიღებული.

დემურ ტორაძე,
ხონი

FRANCE 98
COUPE DU MONDE

ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ევროპა

I ჯგუფი

დანია-სლოვენია 4-0
ნილსენი (4,56), პედერსენი (28), ბ. ლაუდრუპი (52)
საბერძნეთი — ხორვატია 0-1
შუკერი (78)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დანია	4	3	1	0	9-2	10
საბერძნეთი	6	3	1	2	8-4	10
ხორვატია	5	2	3	0	10-6	9
ბოსნია	4	1	0	3	3-9	3
სლოვენია	5	0	1	4	4-13	1

II ჯგუფი

ინგლისი — საქართველო 2-0
შერინგემი (33), შირერი (90)
იტალია — პოლონეთი 3-0
დი მატეო (24), მალდინი (36), რ. ბაჯო (61)

იტალია: პერუცი, ფერარა (პანუჩი), კოსტაკურტა, კანავარო, მალდინი, დი ლივიო, დ. ბაჯო (ფუზერი), ალბერტინი, დი მატეო, რავანელი, ძოლა (რ. ბაჯო).

პოლონეთი: ვოზნიაკი, სკუიპკი, ზელინსკი, ვოიტალა (მაიაკი), ჩიტკო, კალუჟნი, კუხარსკი (ვარჟიხა), ნოვაკი, ბალუშინსკი, ლედვონი.

გააფრთხილეს: ალბერტინი, კოსტაკურტა.

პაოლო მალდინი

ამ მატჩში ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა — კარგა ხნის შესვენების შემდეგ „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა სახელგანთქმული რობერტო ბაჯო. ჩეზარე მალდინიმ იგი მინდორზე შეხვედრის დამთავრებამდე 35 წუთით ადრე გამოიყვანა, მაშინ, როდესაც მატჩის ბედი, ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. ნიჭიერმა ფორვარდმა 5 წუთში ისახელა თავი და საკის გულგასახეთქად ბრწყინვალე გოლი გაიტანა: კოსტაკურტამ მინდვრის შუაგულიდან მას გამჭოლი გადაცემა მიაწოდა, ბაჯომ მშვიდად დაამუშავა ბურთი, მოატყუა მცველი და წინ გამოსული პოლონელთა მეკარე და ნელა შეაგორა ბურთი კარის ბადეში. ტიფოზების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ამ მომენტამდეც იტალიელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოქმედებდა მოედნის ცენტრში ალბერტინი, რომელიც ჭკვიანურად დირიჟორობდა მასპინძელთა შეტევებს. სწორედ მისი გადაცემით გაიტანა პირველი გოლი დი მატეომ. „სკუადრა აძურას" კიდევ რამდენიმეჯერ შეეძლო პოლონელთა კარის აღება, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე იყო ვოზნიაკი, ერთხელაც ძოლას დარტყმის შემდეგ ბურთმა კარის ხარიხა შეაზანზარა.

აი, როგორ გამოიყურებოდა დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	6	5	1	0	11-1	16
ინგლისი	5	4	0	1	9-2	12
პოლონეთი	4	1	1	2	3-6	4
საქართველო	3	0	0	3	0-5	0
მოლდოვა	4	0	0	4	2-11	0

III ჯგუფი

შვეიცარია — უნგრეთი 1-0
თურქილმაზი (84)
ნორვეგია — ფინეთი 1-1
0-1 სუმიალა (60), 1-1 სოლსკიაერი (83)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	4	3	1	0	10-1	10
შვეიცარია	4	2	0	2	4-4	6
უნგრეთი	4	2	0	2	4-4	6
ფინეთი	4	1	1	2	5-6	4
აზერბაიჯანი	4	1	0	3	2-10	3

IV ჯგუფი

ავსტრია — ესტონეთი 2-0
ვასტიჩი (48), შტოიგერი (82)
ლატვია-ბელარუსი 2-0
შევლიაკოვი (38,84)
შვედეთი — შოტლანდია 2-1
1-0, 2-0 კ. ანდერსონი (43,63), 2-1 გალახერი (83)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შოტლანდია	7	4	2	1	8-2	14
ავსტრია	5	3	1	1	5-3	10
შვედეთი	5	3	0	2	9-5	9
ლატვია	5	1	1	3	5-7	4
ესტონეთი	5	1	1	3	1-5	4
ბელარუსი	5	1	1	3	3-9	4

V ჯგუფი

რუსეთი-ლუქსემბურგი 3-0
კეჩინოვი (20), გრიშინი (58), სიმუტენკოვი (60)
ისრაელი — კვიპროსი 2-0
ოჰანა (3,72)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ისრაელი	6	4	1	1	9-4	13
რუსეთი	5	3	2	0	13-2	11
ბულგარეთი	4	3	0	1	10-5	9
კვიპროსი	6	1	1	4	5-14	4
ლუქსემბურგი	5	0	0	5	1-13	0

VI ჯგუფი

იუგოსლავია — ესპანეთი 1-1
0-1 იერო (19, პენ), 1-1 მიატოვიჩი (87, პენ.)
მალტა-ფარერები 1-2
1-0 სულთანა (8), 1-1 ჰანსენი (60, პენ.), 1-2 იონსონი (90)

იერო

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	7	5	2	0	20-4	17
იუგოსლავია	7	5	1	1	21-5	16
სლოვაკეთი	5	4	0	1	14-5	12
ჩეხეთი	4	1	1	2	7-3	4
ფარერები	6	1	0	5	7-23	3
მალტა	7	0	0	7	1-29	0

VII ჯგუფი

სან-მარინო — ჰოლანდია 0-6
ბერგკამპი (40,90), ვინტერი (63), ვან ჰოიდონკი (70), ფ. დე ბური (74), ბოსმანი (85).
თურქეთი-ბელგია 1-3
0-1, 0-2 ოლივეირა (12,31), 1-2 ოქტაი (36), 1-3 ოლივეირა (45)

დენის ბერგკამპი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჰოლანდია	6	5	0	1	23-3	15
ბელგია	5	4	0	1	10-6	12
თურქეთი	5	2	1	2	10-5	7
უელსი	6	2	1	3	14-12	7
სან-მარინო	6	0	0	6	0-31	0

VIII ჯგუფი

რუმინეთი — ისლანდია 1-0
ილიე (32)
ლიხტენშტეინი — ლიტვა 0-2
რაზანაუსკასი (65), სკარბალიუსი (90)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	6	6	0	0	20-0	18
მაკედონია	6	3	1	2	18-10	10
ლიტვა	5	3	0	2	6-5	9
ირლანდია	5	2	1	2	10-4	7
ლიხტენშტ.	6	0	0	6	2-31	0

IX ჯგუფი

გერმანია-უკრაინა 2-0
ბირჰოფი (63), ბასლერი (73)
სომხეთი-ჩრდ.ირლანდია 0-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უკრაინა	6	4	0	2	6-5	12
გერმანია	5	3	2	0	11-4	11
პორტუგალია	6	2	3	1	5-2	9
ჩრდ. ირლ.	7	1	4	2	5-5	7
სომხეთი	5	0	4	1	3-7	4
ალბანეთი	5	0	1	4	3-10	1

სამხრეთ ამერიკა

ჩილე — ვენესუელა 6-0
სამორანო (19,26,31,47,85), რეისი (67)
პარაგვაი — ურუგვაი 3-1
1-0 როხასი (37), 2-0 კარდოზო (73, პენ), 3-0 სოტო (87), 3-1 დარიო სილვა (87)
კოლუმბია — პერუ 0-1
პერედა (62)
არგენტინა — ეკვადორი 2-1
1-0 ორტეგა (18), 2-0 კრესპო (32), 2-1 აგუინაგა (68)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პარაგვაი	10	7	2	1	15-6	23
კოლუმბია	10	5	2	3	15-9	17
არგენტინა	10	4	4	2	14-10	16
ბოლივია	9	3	4	2	14-9	13
ეკვადორი	10	4	1	5	14-12	13
პერუ	10	3	4	3	11-12	13
ურუგვაი	10	4	1	5	10-14	13
ჩილე	9	3	3	3	17-12	12
ვენესუელა	10	0	1	9	6-32	1

შესარჩევი სტადიის მატჩებისაგან განთავისუფლებული მსოფლიოს ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები გუნდი აქტიურად ემზადება ფინალური ტურნირისათვის. გუშინწინ მან ამხანაგური მატჩი გამართა მექსიკელებთან და კვლავ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4-0. სამი ბურთი რომარიომ გაიტანა, ერთიც — ლეონარდომ.

ფაბიო კაპელო

რა უმადური ყოფილხარ, ფაბიო!

ლორენცო სანცი

ესპანეთის „რეალის" კლუბის პრეზიდენტ ლორენცო სანცისა და მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ურთიერთობაში ეტყობა „შავმა კატამ გაირბინა". ისე, კაცმა რომ თქვას, კარგა ხანია დადის ხმები, კაპელო „მილანში" ბრუნდებაო. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იტალიურ კლუბს ურუგვაელი ოსკარ ტაბარესი ედგა სათავეში, ეს ცნობა ზოგიერთ იქაურ გაზეთში დაიბეჭდა. მაგრამ, იცით, ურუგვაელი შარშან დეკემბერში არიგო საკიმ შეცვალა, ხოლო მას შემდეგ, რაც „რეალი" ესპანეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ყველამ ჩათვალა — ეს ამბავი მორიგი ჭორიაო: აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მწვრთნელი მიატოვებს ასე საათივით აწყობილ საქმეს („რეალი" ამჟამად უახლოეს მდევარს „ბარსელონას" 7 ქულით უსწრებს და პრაქტიკულად ჩემპიონობა განაღდებული აქვს)?

და აი, გუშინწინ ყველაფერს ნათელი მოეფინა: რადიოსადგურ BBC-ის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კაპელომ განაცხადა, რომ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს სამეფო კლუბს: „ეს მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც კლუბის პრეზიდენტს შევხედი და დავრწმუნდი — ასეთ ვითარებაში „რეალში" ვერ ვიმუშავებ. ბატონი სანცი ახალი მოთამაშეების შეძენაზე უარს მეუბნება, არადა, კლუბს ჩემპიონთა ლიგის მატჩების წინ გადახალისება სჭირდება. მაგალითად, თითქმის ამოწურა თავისი შესაძლებლობები ხორვატმა ფორვარდმა დავორ შუკერმა. მის ნაცვლად პრეზიდენტს ვთხოვე შეეძინა ორი თავდამსხმელი, რომლებსაც ახლა არ დავასახელებ, მაგრამ უარი მივიღე... მიუხედავად ჩემი გადაწყვეტილებისა, ყველაფერს გავიღებ, რათა საფეხბურთო სეზონი ღირსეულად ჩავამთავროთ".

„რაო, რას ბოდავს კაპელო, ხომ არ გადარეულა, ვერ გამიგია, რა პრეტენზიები უნდა ჰქონდეს მას? თვალის დახამხამებაში ვუსრულებდი ფაბიოს ყველანაირ კაპრიზს. მან კი უმადურობა გამოამჟღავნა" — განაცხადა მწვრთნელის გამოსვლით აღშფოთებულმა ლორენცო სანცმა. ამბობენ, კაპელოს დღეები „რეალში" დათვლილია და მას მალე დაითხოვენ კლუბიდანო. ის კი არა და, უკვე მის მემკვიდრესაც ასახელებენ.

მაშ, ვინ შეცვლის კაპელოს? უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები ორ კანდიდატს ასახელებენ — იოჰან კრუიფსა და იუპ ჰეინკესს. პირველი, მას შემდეგ, რაც „ბარსელონადან" წავიდა, იქვე კატალონიის დედაქალაქში ცხოვრობს და მთელ თავის ენერგიას ამ კლუბის მეპატრონეებთან სასამართლო დავაში ხარჯავს — „ბარსადან" უსამართლოდ დამითხოვეს და ამიტომ ფინანსური პრეტენზიები მაქვსო. რაც შეეხება იუპ ჰეინკესს, იგი, იცით, „ტენერიფეს" წვრთნის, მაგრამ გაზეთ „ელ პაისის" კორესპონდენტს განუცხადა: „ყელში ამომივიდა კანარის კუნძულებზე მუშაობა, მინდა ისეთ კლუბში ვცადო ბედი, ჩემპიონთა ლიგაში რომ იასპარეზებს, იმავდროულად ესპანეთში დარჩენაზეც ვოცნებობ". როგორც ატყობთ, გერმანელი „რეალს" უმიზნებს.

კაპელოსა და „მილანს" დავუბრუნდეთ. დასავლეთელი ჟურნალისტები რომ უცერემონიო ხალხია, ეს ყველამ იცის. ჰოდა, ადგნენ „გაძეტა დელო სპორტის" ჩვენი კოლეგები და სილვიო ბერლუსკონის მიადგნენ — ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიე, მოდის თუ არა კაპელო „მილანშიო". ამაზე ბერლუსკონიმ მოკლედ უპასუხა: ეს ამბავი ჟურნალისტების გადასაწყვეტი არაა. გუნდის სამზარეულოში თქვენ არაფერი გესაქმებათ. შაბათს კლუბის დირექტორატის სხდომა გვაქვს და იქ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პრესკონფერენციაზე შეგატყობინებთ". ასე რომ, დაველოდოთ, კიდევ რამდენიმე ხანი და ყველაფერს გავიგებთ. ისე, საქმე იქითკენ მიდის, რომ საბრალო საკიმ შეიძლება კვლავ აიკრას გუდა-ნაბადი.

„იუვე": ნახვამდის, „დელე ალპი"!

„იუვენტუსი" — „აიაქსის" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრა იყო უკანასკნელი საერთაშორისო, რომელიც ტურინელმა გულშემატკივარმა პირადად იხილა: სეზონის დასრულების შემდეგ მისი საყვარელი კლუბი ამ ქალაქში, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც აღარ გამართავს. ამის შესახებ „ლელო" მოკლედ იტყობინებოდა, მაგრამ არაფერი თქმულა იმ მიზეზებზე, რამაც აიძულა მსოფლიოს უძლიერესი საფეხბურთო კლუბი ეს გადაწყვეტილება მიეღო.

მაინც, უცნაური ბედი აქვთ ტურინულ სტადიონებს: ყველა ისინი, ადრე თუ გვიან, დახურვისათვის არიან განწირულნი. ასეთი შემთხვევა ჯერ ლეგენდარული „ტორინოს" შტაბსადგომს ეწია, „ფილადელფიას" სტადიონზე რომაა განლაგებული. შემდეგ ასევე მოუვიდა „კომუნალეს" სტადიონს, რომელზედაც „იუვემ" 17-ჯერ მოიგო „სკუდეტო". ახლა ანალოგიური ბედი ელის სახელგანთქმულ „დელე ალპეს", რომელიც სულ რაღაც 7 წლის წინათ აიგო იტალიის მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

მორჩა და გათავდა – ტურინული კლუბები ამ სტადიონზე აღარ ითამაშებენ! თანამედროვე ტექნოლოგიის ნიმუში, რომელიც ალპების მთის ძირასაა აშენებული, მფრინავ თეფშს მოგაგონებთ. თვალწარმტაცი ნაგებობის შენახვა იმდენად ძვირი ჯდება, რომ მას სერია „B"-ში გადავარდნილი „ტორინო" რაა, სახელგანთქმული „იუვენტუსიც" ვერ ზღავს.

ჯერ კიდევ სამი წლის წინათ შეეტაკნენ ერთმანეთს ტურინული საფეხბურთო კლუბები და ქალაქის მამები, რომლებსაც ეს სტადიონი ეკუთვნით. მაშინ „ტორინომ" და „იუვემ" კატეგორიულად მოითხოვეს მუნიციპალიტეტისათვის გადასარიცხი ფულის შემცირება (სტადიონის საიჯარო თანხა წელიწადში 8 მილიონ დოლარს უდრიდა!), თანაც ისაა აღსანიშნავი, რომ კლუბები რეკლამიდან ლირასაც არ იღებდნენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ „იუვემ" დააყენა საკითხი საკუთარი სტადიონის მშენებლობის შესახებ. ამ მიზნით ტურინის მუნიციპალიტეტს კლუბისათვის ან უნდა გამოეყო სტადიონის ასაშენებელი ადგილი, ან გადაეცა ძველი „სტადიო კომუნალე", ქალაქის მამები გაჯიუტდნენ და „იუვეს" არც ერთი თხოვნა არ შეუსრულეს. მაშინ „იუვენტუსმა" საგანგებო შეკრება მოაწყო და უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო – მომავალი საფეხბურთო სეზონიდან ტურინში აღარ ითამაშებს.

იტალიის ჩემპიონატის მატჩებს „იუვე" ქალაქ რეჯო-ნელ-ემილიას სტადიონზე ჩაატარებს, საკვანძო შეხვედრებს კი – ბოლონიასა და ვერონაში. რაც შეეხება ევროთასებზე ასპარეზობას, „იუვე" ამ მატჩებს ტრიესტსა და პალერმოში გამართავს. ასეთი ვარიანტით კლუბს, მიუხედავად იმისა, რომ გაეზრდება სატრანსპორტო ხარჯები, ძალიან დიდი ეკონომია მოუვა, ვინაიდან სხვა სტადიონების საიჯარო თანხა „დელე ალპისაზე" გაცილებით დაბალია.

იტალიური პრესის ცნობით, „იუვეს" ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ფეხბურთში რევოლუციურ ცვლილებებს შეიტანს. „ამიერიდან ტურინელთა გუნდის თამაში ლუჩანო პავაროტისა და პოლ მაკარტნის გასტროლებს შეედრება, – წერდა გაზეთი „რეპუბლიკა", – „იუვე" დაემსგავსება მოხეტიალე საფეხბურთო ცირკს, რომელიც წელიწადში ათი თვე იმოგზაურებს მთელ იტალიაში".

ბევრად შეიცვლება ფეხბურთის ეკონომიკური ასპექტებიც. „იუვენტუსი" თავის „კლანჭებს" ყველგან გაშლის – გაცილებით გაიფართოვებს საფეხბურთო ბაზარს. ახალი სპონსორები, ახალი გულშემატკივრები და ამის შედეგად მიღებული ახალი შემოსავლები.

რასაკვირველია, ტურინიდან გადაბარგება ბევრ მოთამაშეში ენთუზიაზმს არ გამოიწვევს, ვინაიდან ამ ქალაქში ოჯახები ჰყავთ, მაგრამ მწვრთნელი მარჩელო ლიპი ხაზს უსვამს, რომ ამ შემთხვევაში გუნდი სამართლიანობისათვის იბრძვის. ამასობაში „იუვეს" და ტურინის მუნიციპალიტეტის დავაში იტალიის მთავრობა ჩაერია, რომელმაც ქალაქის პრეფექტი დაავალდებულა შუამავლის როლი შეესრულებინა წარმოქმნილ სიტუაციაში. მაგრამ დრო მიდის, გამოსავალი კი არ ჩანს...

დაემატება «ნიუკასლს» ქართული ტანდემი?

თემურ ქეცბაია



გიორგი ქინქლაძე

ᲚᲔᲡ ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓᲘ

ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲓ ᲟᲘᲜᲝᲚᲐ

ᲙᲔᲘᲢ ᲯᲘᲚᲔᲡᲞᲘ

ᲨᲐᲙᲐ ᲰᲘᲡᲚᲝᲞᲘ

საბერძნეთის აეკისა და საქართველოს ეროვნული ნაკრების 29 წლის ნახევარმცველი **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐ** მომავალი სეზონიდან ინგლისის პრემიერლიგაში გამოვაო – ამ ცნობამ, ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივრებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მით უფრო, რომ კენი დალგლიშს, „ნიუკასლ იუნაიტედის" მენეჯერს, თურმე, კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის – გიორგი ქინქლაძის შეძენაც უდევს გულში. აი, რას წერს ამის შესახებ ინგლისური გაზეთი „სანდი სპორტი": *„გიორგი ქინქლაძე, „მანჩესტერ სიტის" ქართველი გენიოსი, ალბათ 7 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდება „ნიუკასლში". „სიტი" თანდათან ეჩვევა აზრს, რომ ქინქლაძე დატოვებს გუნდს. ფრენსის ლის და ქართველს სიტყვიერი შეთანხმება აქვთ, რომ თუ „სიტი" პრემიერლიგაში ვერ გადავა, ქინქლაძეს ხელს არ შეუშლიან სხვა გუნდში ითამაშოს. 26 მარტს მანჩესტერში ქინქლაძის შვეიცარიელი აგენტი ფილიპ იუბერი ჩავიდა და ლისთან მოლაპარაკება გამართა. იუბერმა „სიტის" კლუბის პრეზიდენტს დალგლიშის წინადადება ამცნო. იმავე დღეს „ნიუკასლის" ერთ-ერთმა თავკაცმა განაცხადა: „ჩვენ ქინქლაძე გვჭირდება და ყველაფერს გავაკეთებთ მის გადმოსაყვანად. კენი დალგლიშს ეს მტკიცედ გადაუწყვეტია. მან განაცხადა – ქეცბაიას და ქინქლაძეს ძალა შესწევთ ჩემპიონობა მოგვიტანონო". ვარაუდობენ, რომ გარიგება მალე შედგება".*

მაშ ასე – „ნიუკასლ იუნაიტედი". იგი დაარსდა 1881 წელს მეგობრების ჯგუფის ინვესტიციების წყალობით. კლუბის გუნდს თავდაპირველად „სტენლი" ერქვა.

„ნიუკასლის" აღზევება დაკავშირებულია მისი ყოფილი მწვრთნელის, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელის კევინ კიგანის სახელთან. იგი გუნდს სათავეში 1992 წლის თებერვალში ჩაუდგა. მაშინ „ნიუკასლი" მეორე დივიზიონის მაჩანჩალა იყო. ნიჭიერმა სპეციალისტმა მოკლე ხანში ძლიერი გუნდი შექმნა და აკი შარშან პრემიერლიგის ჩემპიონობასაც კინაღამ გამოჰკრა ხელი – ბოლო მომენტში მას „მანჩესტერ იუნაიტედმა" აჯობა და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

წლევანდელ გათამაშებაშიც „ნიუკასლი" ახლოსაა გაიმეოროს შარშანდელი შედეგი – მართალია, ჯერჯერობით მეოთხე საფეხურზეა, მაგრამ მეორე გუნდთან სხვაობა არცთუ დიდია. ქვეყნის ბომბარდირთა დავაში „ნიუკასლის" მთავარი დამრტყმელი ძალა ალან შირერი ლიდერობს 24 გატანილი გოლით.

ახლა გუნდის შემადგენლობასაც გადავხედოთ და ნათელი გახდება, რა გარემოცვაში მოხვდებიან ქართველი ლეგიონერები. გუნდს, როგორც ზემოთ ითქვა, კენი დალგლიში წვრთნის. „ნიუკასლში" სამი ძლიერი მეკარეა – 28 წლის შაკა ჰისლოპი, 34 წლის მაიკ ჰუპერი და 29 წლის ჩეხი ლეგიონერი პაველ სრნიჩეკი. დაცვის ხაზს შეადგენენ გამოცდილი ოსტატები ფილიპ ალბერი, უორენ ბარტონი, რობი ელიოტი, დარენ პიკოპი, სტივ უოტსონი. ნახევარდაცვაში ბრწყინავენ ლი კლარკი, კეიტ ჯილესპი, რობერტ ლი. მათგან განსხვავებით წარუმატებელი სეზონი აქვს ფრანგ ლეგიონერ დევიდ ჟინოლას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნიუკასლის" ყველაზე ძლიერი ხაზი თავდასხმაა, სადაც ალან შირერს გვერდს უმშვენებენ ვეტერანი პიტერ პერდლსი, თბილისელებისთვის კარგად ცნობილი ლეს ფერდინანდი და კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილია.

საერთოდ, მიმომხილველთა აზრით, უახლოეს დროში „ნიუკასლში" დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ქეცბაიასა და ქინქლაძის გარდა ინგლისელები კიდევ ორი ფეხბურთელის შეძენას აპირებენ – დანიელი ფორვარდის იონ დალ ტომასონისა და შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის რიკი გილისს. დანიელი ახლა ჰოლანდიურ „ჰერენვენში" გამოდის. იგი 21 გატანილი გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირია (ტომასონის შეძენა „აიაქსსა" და „ბარსელონასაც" სურდა). დალგლიშის წინადადება რომ მიიღო, იგი ინგლისში ჩავიდა და პრემიერლიგაში მოთამაშე თანამემამულეებს შმეიხელსა და ნილსენს დაეკითხა ჭკუას. მათაც ურჩიეს – „ნიუკასლი" კარგი ვარიანტია და ხელიდან არ გაუშვაო. რაც შეეხება შოტლანდიელს, იგი ამჟამად სამშობლოში თამაშობს, მეორე დივიზიონის სენტ-მირენის" ღირსებას იცავს. მისი სატრანსფერტო თანხა ნახევარი მილიონი გირვანქაა.

ნუ ვიფიქრებთ, რომ „ნიუკასლი" მხოლოდ მოთამაშეთა ყიდვაზე ფიქრობს: კარგა ხანია მისი მეპატრონეები ფრანგი ლეგიონერის შეძენის მსურველი კლუბის მოძიებითაა დაკავებული. შეგახსენებთ, ინგლისელებმა ფრანგი ნახევარმცველი „პარი სენ-ჟერმენისაგან" შარშანწინ შეიძინეს ორნახევარმილიონ გირვანქა სტერლინგად. 1995-96 საფეხბურთო სეზონში ჟინოლამ პრემიერლიგის 34-ვე შეხვედრა ითამაშა და 15 გოლი გაიტანა, მიმდინარეში კი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის და ორადორი ბურთი შეაგდო.

აი, ასეთ გარემოცვაში მოუხდებათ ქართველ ლეგიონერებს თამაში.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ

იტალიის შარშანდელი ჩემპიონი „მილანი" არნახულ გასაჭირში ჩავარდა, იგი ხომ სრულიად შეუფერებელ მე-11 ადგილზე აღმოჩნდა. შუა სეზონში მწვრთნელის შეცვლამ და ურუგვაელი ოსკარ ტაბარესის ნაცვლად არიგო საკის მოწვევამ, როგორც მალე ნათელი გახდა, კიდევ უფრო გაუუარესა მდგომარეობა გუნდს.

საკი მაინც არ ჰკარგავს იუმორის გრძნობას და ამბობს. რომ თუმცა დიდი დაპირებების მიცემა არ შეუძლია, სერია B-ში მაინც არ გადაიყვანს გუნდს.

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝᲡ «ᲑᲐᲠᲡᲐᲨᲘ» ᲣᲜᲓᲐ. «ᲚᲐᲪᲘᲝ» ᲙᲘ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲐᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ

გასული თვიდან მოყოლებული იტალიურმა „ლაციომ" კატალონური „ბარსელონას" და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელ რონალდოზე ნამდვილი ნადირობა მოაწყო, ვინაიდან ესპანური კლუბი მას 32 მილიონ დოლარად გაყიდვას უპირებდა. თითქოს ფეხბურთელიც თანახმა იყო იტალიაში გადაბარგებაზე, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა — „ბარსელონაში" დარჩენა მირჩევნიაო.

„ლაციოს" მეპატრონემ სერჟიო კრანიოტიმ ამ დღეებში უკანასკნელი ცდა მოაწყო და მოსალაპარაკებლად რონალდოს აგენტებს ბრაზილიაში ეწვია, მაგრამ ამაოდ. მან ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „რონალდოს აგენტებმა მითხრეს, რომ ისინი მოლაპარაკებას ეწევიან „ბარსელონასთან" და მალე შეთანხმებასაც მიაღწევენ. მე მათ ვუთხარი, რომ თუ რამეა, ყოველთვის მზად ვარ და პირველ რიგში მე მომმართონ, მაგრამ რა ვიცი..."

17 ᲛᲐᲘᲡᲡ «ᲣᲔᲛᲑᲚᲘᲖᲔ» — ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ

17 მაისს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე გაიმართება ინგლისის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან „მიდლსბრო" და ლონდონის „ჩელსი". ეს შეხვედრა ზოგმა მიმომხილველმა „იტალიელების მატჩადაც" კი მონათლა: საქმე ის არის, რომ „მიდლსბროს" შემადგენლობაში დიდი წარმატებით გამოდის რავანელი, „ჩელსიში" კი თამაშობენ ვიალი, ძოლა და დი მატეო.

გაიმართა პლეი-ოფების სერიის პირველი წრის მორიგი მატჩები

აღმოსავლეთის კონფერენცია

მაიამი – ორლანდო 2:1 (ორლანდო – მაიამი 88:75).
ნიუ-იორკი – შარლოტი 3:0 (ნიუ-იორკი-შარლოტი 104:95). შემდეგ წრეში გავიდა ნიუ-იორკი.
ატლანტა – დეტროიტი 1:2 (დეტროიტი – ანტლანტა 99:91)
ჩიკაგო – ვაშინგტონი 2:0

დასავლეთის კონფერენცია

იუტა – კლიპერსი 3:0. იუტა შემდეგ წრეში გავიდა.
სიეტლი – ფინიქსი 1:2 (ფინიქსი – სიეტლი 110:103).
ჰიუსტონი – მინესოტა 3:0 (ჰიუსტონი – მინესოტა 96:84). ჰიუსტონი შემდეგ წრეში გავიდა.
ლეიკერსი – პორტლენდი 2:0.

სპორტული მაისი

თვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარი

4 — მძლეოსნობა. „გრან-პრი". რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია)
4-8 — ავტოსპორტი. რალი „კორსიკის ტური". მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი (საფრანგეთი).
5-11 — ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი: ჰამბურგი (გერმანია)
6-11 — ველოსპორტი. რბოლა „დიუნკერკის 4 დღე" (საფრანგეთი)
7 — ფეხბურთი. უეფა-ს თასი; ფინალი. პირველი მატჩი
8-11 — ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ოსენდე (ბელგია)
10 — მძლეოსნობა. „იაპონიის გრან-პრი" ოსაკა
11 — ავტოსპორტი. „ფორმულა-1". „მონაკოს გრან-პრი"
12-18 — ჩოგბურთი. ატპ-სა და ვტა-ს ტურნირები. რომი (იტალია), ბერლინი (გერმანია).
12-19 — ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. რიეკა (ხორვატია)
14 — ფეხბურთი. თასების თასი. ფინალი. როტერდამი (ნიდერლანდები)
17-8 ივნისი — ველოსპორტი. მრავალდღიანი რბოლა „იტალიის ტური"
18 — მძლეოსნობა. „გრან-პრი". შარლოტი (აშშ).
19-25 — ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი. დიუსელდორფი (გერმანია)
20-24 — ავტოსპორტი. „არგენტინის რალი". მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი
21 — ფეხბურთი. უეფა-ს თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი
21-31 — ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი (დიდი ბრიტანეთი)
22-25 — ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი პატრა (საბერძნეთი)
25 — მძლეოსნობა. „გრან-პრი". ეუგენი (აშშ)
25 — ავტოსპორტი. „ფორმულა-1" ესპანეთის „გრან-პრი". ბარსელონა
26-1 ივნისი — თანამედროვე ხუთჭიდი. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი (უნგრეთი)
26-8 ივნისი — ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (პარიზი)
28 — ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ფინალი. მიუნხენი (გერმანია)

შეხვედრა მიგელ ნაიდორფთან

(მეორე გვერდიდან)

ვეტერანთა ამ ტურნირში, როგორც ითქვა, გაიმარჯვეს სმისლოვმა (1) და ნაიდორფმა (2), რომლებმაც იგი დაუმარცხებლად ჩაატარეს, შემდგომი ადგილები დაიკავეს დენკერმა, საბომ, იანოვსკიმ, გიმარმა და კრისტოფელმა.

ჩემი თხოვნით, დონ მიგელმა ზეპირად მიკარნახა თავისი პარტია დენკერთან, რომელშიც ეფექტურად გაიმარჯვა (პარტიის ტექსტს ბოლოში შემოგთავაზებთ).

აქ არ შემიძლია არ მოვიგონო, რომ თავის დროზე დიდოსტატი ნაიდორფი გახლდათ 2 არაოფიციალური საჭადრაკო რეკორდის მფლობელი: 1943 წ. მან წარმატებით ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 202 დაფაზე, ხოლო 1947 წ. — სეანსი a l' avengle (დაფაზე დაუხედავად) 45 დაფაზე საოცარი შედეგით: +39, -2, =4. მისი სიტყვებით, იგი ახლაც სიამოვნებით და წარმატებით თამაშობს ელვისებურ პარტიებს და რომ არა ახლადშემოღებული და მისთვის მეტისმეტად მძიმე შვიდსაათიანი რეგლამენტი, იგი ოლიმპიადაზე არგენტინის გუნდში ახლაც ითამაშებდა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რამდენ ოლიმპიადაში აქვს მას მიღებული მონაწილეობა, ნაიდორფმა უყოყმანოდ მიპასუხა: სულ 13-ში, 3-ჯერ პოლონეთისა და 10-ჯერ არგენტინის გუნდის შემადგენლობაში, როგორც წესი, პირველ დაფაზე.

ნაიდორფი მომიყვა თავისი ბიოგრაფიის ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც, ვფიქრობ, დააინტერესებს ჩვენს მკითხველს.

უნდა ითქვას, რომ მის ბიოგრაფიაში არის ფრიად ტრაგიკული ფურცლებიც.

1939 წელს აგვისტოს ბოლოს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში დაიწყო მე-8 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. პოლონეთის გუნდის შემადგენლობაში, მეორე დაფაზე, თამაშობდა 29 წლის ნაიდორფი (პირველზე — ცნობილი ს. ტარტაკოვერი იყო). 1 სექტემბერს გავარდა მეხი: ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. აირია მონასტერი ოლიმპიადაზე. ინგლისის გუნდმა საერთოდ შეწყვიტა მონაწილეობა ტურნირში, ზოგიერთმა გუნდმა უარი განაცხადა შეხვედროდა გერმანიის გუნდს და რამდენიმე მატჩის შედეგი გაუთამაშებლად ყაიმად სცნეს. რის ვაივაგლახით ორგანიზატორებმა ტურნირი ბოლომდე მიიყვანეს და პოლონეთის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა (პირველზე გერმანია გავიდა), ხოლო ნაიდორფმა თავის დაფაზე ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა (+12, -2, =4).

სიტუაციის ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობდა, რომ პოლონეთის გუნდს (და ზოგიერთ სხვა გუნდსაც) შინ გზა გადაეკეტა. უკეთეს დროთა მოლოდინში არგენტინას შეეხიზნა ბევრი მოჭადრაკე, მათ შორის, ნაიდორფიც. სამშობლოში კი დარჩნენ მშობლები, ცოლი, ორი შვილი, ნათესავები. ყველა ისინი დაიღუპნენ ომის წლებში. „ეს ჩემი ცხოვრების კოშმარიაო" — თქვა დანაღვლიანებულმა მოხუცმა მოჭადრაკემ. — „ოლიმპიადა რომ არა, მეც ხომ მათთან ერთად დავიღუპებოდი და ალბათ ეს უკეთესიც იქნებოდა ჩემთვის".

ჭადრაკი იქცა ერთადერთ ნავსაყუდლად და ნუგეშად ერთბაშად დაობლებული ემიგრანტი ოსტატისათვის. ომის წლებში არ გამოუტოვებია არც ერთი ტურნირი, რომელიც კი გამართულა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, მომდევნო წლებში შვიდგზის გახდა თავისი მეორე სამშობლოს — არგენტინის ჩემპიონი (უკანასკნელად — 64 წლისა) და მსოფლიოს საჭადრაკო ელიტაშიც დაიმკვიდრა ადგილი. მალე პატარა საქმეც წამოიწყო, გახდა სადაზღვევო ფირმის მფლობელი, რომელსაც ბოლო დრომდე თვითონ ედგა სათავეში. „მარტო ჭადრაკით ჩემს დროში ვერ ვიცხოვრებდი".

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ ნაიდორფი არ თვლის თავის თავს ნამდვილ (ასე ვთქვათ, ასპროცენტიან) პროფესიონალ მოჭადრაკედ — ნახევრად მოყვარული ვარო. სხვათა შორის, ეს მან მაშინაც დაადასტურა, როდესაც შევეკითხე, ესწრებოდა თუ არა იგი განთქმულ „ავრო-ტურნირს" ჰოლანდიაში 1938 წელს? (ცხადია, რომ მანამდე მე მას მივართვი ჩემს მიერ შედგენილი წიგნი ამ ტურნირის შესახებ).

— არა! საიდან? — მიპასუხა — მე ხომ ამ დროს კანტორაში ვმსახურობდი ოჯახის შესანახავად და ამის არავითარი საშუალება არ მქონდა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მივეცი ტრადიციული შეკითხვა, თუ ვის თვლის იგი ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკეებად. პასუხი ასეთი იყო: მორფი, კაპაბლანკა, ალიოხინი, ტალი, ფიშერი, კასპაროვი (მსოფლიო ჩემპიონები) და კერესი, რომლის შესახებაც დაამატა, რომ ეს იყო უპირველესი ჯენტლმენი ჭადრაკის სამყაროში.

მოხუცი დიდოსტატი ძალიან ამაყობს, რომ სხვადასხვა დროს დამარცხებული ჰყავს მსოფლიო ჩემპიონები მ. ბოტვინიკი, მ. ეივე, მ. ტალი, ტ. პეტროსიანი და რობერტ ფიშერი (სამი უკანასკნელი — არაერთგზის), ხოლო ჯერ კიდევ 1932 წელს, სულ ახალგაზრდამ, ყაიმით დაამთავრა ორი საჩვენებელი პარტია მსოფლიო ჩემპიონ ა. ალიოხინთან.

მარცხნიდან: მ. ნაიდორფი, გ. ტორაძე, ზ. ჩაჩუა

ნაიდორფმა გაიხსენა თავისი ხანგრძლივი საჭადრაკო ცხოვრების რამდენიმე კურიოზული შემთხვევა. როგორც ზემოთ ითქვა, 1946 წელს გრონინგენის ტურნირის ბოლო ტურში იგი ხვდებოდა პირველ ადგილზე მყოფ მ. ბოტვინიკს. ტურის წინა საღამოს ნაიდორფს შეუთავაზებია მსურველებისათვის სანაძლეო — 500 ჰოლანდიური გულდენი (რაც ამერიკული დოლარის ზუსტი ეკვივალენტია), რომ ხვალ აუცილებლად მოუგებდა ბოტვინიკს. სანაძლეოს დათანხმებულა დიდოსტატი ს. ტარტაკოვერი, რომელსაც რულეტკის დაუძლეველი სიყვარულის გამო, მუდამ აწუხებდა უსახსრობა. მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ ბოლო ტურში ბოტვინიკი, რომელსაც აუცილებლად სჭირდებოდა თუნდაც ნახევარი ქულა პირველი ადგილის განაღდებისათვის, წააგებდა მე-5 ადგილზე მყოფ ნაიდორფთან?

მაგრამ ნაიდორფმა გაიმარჯვა და საწყალ ტარტაკოვერს ცუდი დღე დაადგა. ადვილი იყო 500 გულდენის შოვნა?

მეორე კურიოზული შემთხვევა: 1949 წელს ნაიდორფმა მატჩი ითამაშა ცნობილ ამერიკელ დიდოსტატ რ. ფაინთან (+2, -2, =4). ერთ-ერთ გადადებულ პარტიაში თურმე ნაიდორფს დარჩენია მხედარი და 2 პაიკი, ხოლო ფაინს — მხედარი და 1 პაიკი. პოზიცია საყაიმო ჩანდა და ვაპირებდი შემეთავაზებინა ფაინისათვის, რომ თამაშის განუახლებლად შევთანხმებულიყავით ყაიმზე. უეცრად გაისმა ტელეფონის ზარი. რეკავს ფაინი. — მისტერ ნაიდორფ, ჩვენი პოზიცია საყაიმოა. შეგიძლიათ ჩაიხედოთ ჩემს ცნობარში ენდშპილის შესახებ — მეუბნება იგი, გვერდი ეს, აბზაცი ეს.

აქ რაღაცაშია საქმე, გავიფიქრე. გარდა ამისა, რატომ მთავაზობს ყაიმს იგი, მას ხომ პაიკი აკლია? — უარი ვუთხარი. და თუმცა ანალიზის შედეგად მოგებას ვერ მივაგენი, მაინც ვითამაშე ეს გრძელი და მოსაწყენი ენდშპილი და წარმოიდგინეთ, გავიმარჯვე (ფაინს ნერვებმა უმტყუნა და შეცდა).

ასე დაკარგა დიდოსტატმა რ. ფაინმა უაღრესად საჭირო ნახევარი ქულა იმის გამო, რომ აჩქარდა და არ დაელოდა, სანამ ყაიმს მე შევთავაზებდიო — დაასრულა თავისი მოთხრობა ნაიდორფმა. ისე კი ფაინი უაღრესად წესიერი კაცი იყო — ჩემზე 5 წლით უმცროსი — შარშანწინ გარდაიცვალაო. და დაამატა: სამწუხაროდ, ჩემი თაობის მოჭადრაკეებიდან დავრჩით მხოლოდ მე, ა. ლილიენტალი (ჩემზე ორი წლით უმცროსი), ჯ. გიმარი, ა. დენკერი...

ნაიდორფს ძალიან უყვარდა მიშა ტალი (ვის არ უყვარდა იგი?). ერთხელ, 1962 წ. ვარნის ოლიმპიადაზე მას ისე მოსწონებია ტალის მართლაცდა ბრწყინვალე სვლა ხეხტთან პარტიაში, რომ თავის პარტიას თავი მიანება, მიირბინა ტალთან და მაგრად აკოცა.

ამ გაუთვალისწინებელ აქციას თურმე ის შედეგი მოჰყვა, რომ ერთმა „პასუხისმგებელმა ამხანაგმა" ლამის დაკითხვა მოუწყო ტალს, თუ რას ნიშნავდა „ბურჟუაზიული მოჭადრაკის" ეს გამოხდომა!

ამჟამად ნაიდორფი თავის თავს პენსიონერს უწოდებს, მატერიალურად ეხმარება არგენტინის ჭადრაკის ფედერაციას (მე შეძლებული კაცი ვარო!) ჰყავს ორი ქალიშვილი — ორივე ექიმი, ამდენივე შვილიშვილი — ბიჭები — პოპ-მუსიკოსები (?!).

გვქონდა საუბარი ქართული ჭადრაკის შესახებ. ნაიდორფი კარგად იცნობს ჩვენს მოჭადრაკე ქალებს — ნონა გაფრინდაშვილით დაწყებული. მას ეჭვი არ ეპარებოდა მათ გამარჯვებაში ოლიმპიადაზე, რაც მალე სინამდვილედ იქცა.

ვაჟთაგან იგი სიმპათიით იყო განწყობილი ზ. აზმაიფარაშვილისადმი, რომელსაც ნიჭიერ და ძლიერ მოჭადრაკედ თვლის.

ბატონ მიგელს შემდეგ დღეებშიც ვხვდებოდი, თუმცა აღარ გვისაუბრია. ოლიმპიადის დახურვის დღეს მან მოგვილოცა ჩვენი გუნდების წარმატება და ფოტოც კი გადავიღეთ ერთად.

ოლიმპიადაზე ნაიდორფი საზეიმო ვითარებაში აირჩიეს ფიდე-ს პრეზიდიუმის საპატიო წევრად. კ. ილიუმჟინოვმა მას დიპლომი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ახლა კი დაპირებული პარტია ა. დენკერთან (გრონინგენი, 1996 წ., აგვისტო).

თეთრები — 87 წლის მ. ნაიდორფი, შავები — 83 წლის ა. დენკერი.

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 c6 6. მf3 კg4 7. კe3 0-0 8. 0-0 ლc7 9. მd2 კ:e2 10. ლ:e2 e5 11. de de 12. c5 მbd7 13. მc4 b5 14. cb ab 15. d4 fb8 16. ეac1 კf8 17. f4 კh6 18. fe5 კe3+ 19. ლe3 მg4 20. ლf4 მge5 21. მe5 მe5 22. მd5 ლd6 23. ეc6 დენკერი დანებდა.

სხვათა შორის, ეს პარტია აქამდე არ იყო დაბეჭდილი. ასე რომ, პრიორიტეტი ჩვენს გაზეთს ეკუთვნის.

გულბათ ტორაძე

შინ და გარეთ...

უცხოეთში

- **ჩეხეთმა და ავსტრიამ** სურვილი გამოთქვეს ერთობლივად უმასპინძლონ 2004 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს.
- **28 წლის** შვეიცარიელი დორტმუნდის ბორუსიის თავდამსხმელი შაპიუზა ფრანგ ქალიშვილზე დაქორწინდა და ახლა ამ ფაქტსაც იყენებს საბაბად, რათა მიიღოს საფრანგეთის მოქალაქეობა, ეს კი საშუალებას მისცემს ევროგაერთიანების ქვეყნებში სათამაშოდ გადასვლის პრობლემები უმტკივნეულოდ გადაჭრას.
- **მამუკა მინაშვილი,** რომელიც ახლა სამარის „კრილია სოვეტოვში" გამოდის, რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრიდან შეიძლება მოსკოვის „ლოკომოტივმა" შეიძინოს.
- **ვინ შეცვლის** ჟოაო ავლანჟს ფიფას პრეზიდენტის პოსტზე? ლეგენდარული პელე ყველაზე ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევს თავის მეგობარს ფრანც ბეკენბაუერს. დამოუკიდებელი ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ ფარული პოლიტიკური ბრძოლაც გაჩაღდება და კაცმა არ იცის ვინ მოვა ფიფას სათავეში.

ჩვენში

- **მალე** ქუთაისის ტორპედოს ნიჭიერი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია, რომლის შეძენა ამ ბოლო ხანებში ბევრს სურდა, შეიძლება თბილისის „დინამოში" აღმოჩნდეს, ცხადია, მიმდინარე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.
- **მოეწყო** წილისყრა და 7 მაისს პირველი შეხვედრები გაიმართება 1981 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის მიხეილ მესხის სახელობის თასის ტრადიციულ გათამაშებაში. 16 გუნდიდან შემდეგ ეტაპზე 8 უძლიერესი იასპარეზებს ოლიმპიური სისტემით. გათამაშებაში თავიდან 70-მდე გუნდი ჩაება.

საჭადრაკო ამოცანა

ნოდარ ბეხალაშვილი
(თბილისი)



შამათი 2 სვლაში

„ლელოს" 33-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. e7 c1ლ 2. e8+ლc8
3. ლe5+მფa8 4. ლe4+მფb8
5. ლf4+მფa8 6. ლf3+მფb8
7. ლg3+მფa8 8. ლg2+მფb8
9. ლh2+მფa8 10. ლ:a2+ლa6
11. ლ:a6+მფb8 12. ლb7X

როდის ვიყოთ განსაკუთრებით ფრთხილად!

მაგნიტური დღეები და საათები მაისში

4-ში — 18-19 სთ.
7-ში — 13-14 სთ.
11-ში — 15-16 სთ.
15-ში — 19-20 სთ.
21-ში — 21-22 სთ.
23-ში — 13-14 სთ.
24-ში — 22-23 სთ.
29-ში — 18-19 სთ.
დრო თბილისისაა.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

აცხადებს

კონკურსს აკადემიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად

— განცხადება მიიღება მეცნიერების დოქტორის, პროფესორის ტიტულის მქონე პირისაგან არა უმეტეს 65 წლის ასაკისა.
— განცხადებას თან უნდა დაერთოს:
— კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ დიპლომების ასლები და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ ატესტატის ასლი;
— გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა და გამოგონებების სია დამოწმებული არსებული წესით.

განცხადება მიიღება კადრების განყოფილებაში დღიდან გამოცხადებისა ერთი თვის მანძილზე.

მისამართი:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის 49.
ტელეფონი: 22-09-02

საორგანიზაციო კომიტეტი

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ომარ ღონღაძეს დედის გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კროსვორდი



თარაზულად: 1. კიევის „დინამოს" მეკარე, „სიკვდილის მატჩის" მონაწილე, 4. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში, 7. სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში, სსრკ ნაკრების წევრი, 8. XII მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი სუსტი მეკარე, 9. ბელგიის ნაკრების მცველი, 11. ბასკეთის 1937 წლის ნაკრების თავდამსხმელი, 12. ჩეხი ევროპის ჩემპიონი, 13. III მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი, 15. 80-იანი წლების მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი, 17. ცნობილი ფრანგი მცველი, 18. ფეხბურთის მოყვარული ხორვატი ჩოგბურთელი ვაჟი, 19. რუსი ფეხბურთელი, 1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 20. 1990 წლის უეფას თასის მფლობელი გუნდი, 22. გერმანელი ფეხბურთელი, ევროპის 1992 წლის ვიცე-ჩემპიონი, 24. არბიტრი, რომელიც მოემსახურა IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს, 26. ესპანური კლუბი, 28. საქართველოს კლუბი, 29. თბილისის „დინამოს" მეტოქე ევროტურნირებში, 30. „გეტებორგის" ფეხბურთელი, 31. სსრკ თასის 1965 წლის ფინალური მატჩის არბიტრი, 32. „ატლეტიკოს" ფეხბურთელი.

შვეულად: 1. იტალიელი მსოფლიო ჩემპიონი 1982 წელს, 2. 80-იანი წლების „შახტიორის" მეკარე, 3. ევროპაში არაშემავალი უეფას წევრი ქვეყანა, 4. ქართველი ფორვარდი, ფედოტოვის კლუბის წევრი, 5. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი, 6. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, 8. 1971 წლის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის მონაწილე გუნდი, 10. არგენტინის კლუბი, 13. ფრანგული კლუბი, 14. წარსულში სსრკ ნაკრების თავდამსხმელი, 15. გერმანელი მსოფლიო ჩემპიონი (1990 წ.), 16. „ბეტისის" ხორვატი ლეგიონერი, 21. რუმინეთის ნაკრების მცველი, 23. მოსკოველი თავდამსხმელი, რომელიც ახლო წარსულში გერმანულ კლუბში გამოდიოდა, 24. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიელი მარჯვენა გარემარბი, 25. 1993 წლის სსრკ ნაკრების კაპიტანი, 26. „ოსერის" ფეხბურთელი, 27. 1974 წლის გერმანელი მსოფლიო ჩემპიონი.

შეადგინა ქარლო სალუქვაძემ (ოზურგეთი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. რენსენბრიკი, 6. ქეცბაია, 8. ლანგარა, 12. ტატამი, 14. ორტეგა, 16. ტარანტინი, 18. ჯაიჩი, 19. ოკოჩა, 20. იპონი, 21. შტიხი, 24. მესხი, 26. „კრემონეზე", 27. „ბრეშია", 29. კიგანი, 30. ირიარტე, 31. „რესინგი", 32. ივანიშევიჩი.

შვეულად: 2. ევანი, 3. ბალბო, 4. ბერტონი, 5. ორლანდო, 7. ბატუტი, 9. „გრემიო", 10. გობეჯიშვილი, 11. კოსტადინოვი, 13. მარტინესი, 15. რაიციგერი, 17. ნკონო, 22. ირიბარი, 23. იკპება, 24. მედალი, 25. „სოლინგი", 28. ალეზი, 29. კურიე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

[illegible], 380096, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო" საგაზეთო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხოშინიშვილი. შემსრულებლები მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი;